345/2
1901

№ X

ოქტომბერი 1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲨᲘᲜᲐᲐᲠᲡᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ „ᲯᲔᲯᲘᲚᲘᲡᲐ“

		გვ.
I	პატარა ქართველი. ლექსი—დუტუ-მეგრელისა	3
II	ძაღლების ჭკუა-გონება. (თარგმანი)—ტასოსი	5
III	თაედები. ლეგენდა (რუსულიდან)—ან. წერეთლისა . . .	9
IV	მძინარე ლომი. ლექსი—დ. თომაშვილისა	18
V	უწინდელი ცხოველები (დასასრული)—ი. გოშარდიანისა .	22
VI	ლედი ჯენ, მოთხრობა, გაგრძელება—ედ. წერეთლისა	31
VII	მამაცი ბელურები თარგმანი—ტასოსი	43
VIII	მეფე გლეხთა განმათავისუფლებელი—გ. წულუკიძისა .	46
IX	ქვის საუკუნის ბავშვები (გაგრძელება) — ეკ. მ—სა . .	49
X	წერილმანი: აკროსტიხი, ანდაზები, ჩქარა გამოსათქმელი, გამოცანები, ზმა, მათემატიკური გამოცანა, არითმეტიკული ამოცანა, შარადა, რებუსი და სხვ.	58

თანახმათ მათი ყოვლად უსამღვდელოეობის საქართველოს ეგზარხოსის დამტკიცებისა, თფილისის საეპარქიო რჩევამ, 17 ოქტომბერს, 1897 წ. გადაწყვიტა ქართული საყმაწვილო ჟურნალი „ᲯᲔᲯᲘᲚᲘ“ საქართველოს ეპარქიის სამრევლო სკოლებში მიღებულ იქმნას სახმარებლათ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

ოზარდს, მწვანე ჯეჯილნ
დაბურდი, გახდი ყანაო!..
ი. ბ.

№ X

წელიწადი მეთოერმეტე

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 | Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1901

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Дозволено цензурою. Тифлисъ, 20-го Октября 1901 г.

308

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პატარა ქართველი.

ე პატარა ქართველი ვარ,
კავკასიის მთების შვილი,
და განცხრომით სხვაგან ეოფნას
მირჩევნია აქ სიკვდილი!

ქართლ-კახეთი, იმერეთი,
გურია და სამეგრელო—
ყველა ჩემი ხამშობლოა,
საყვარელი საქართველო.

ქვეყნის თვალი—ეს ქვეყანა
დვთის მშობლისა არის წილი;
ბევრ მწარე დღეს მოსწრებია
და უნახავს ბევრიც ტკბილი:

ხან თუ მტრები აოხრებდა,
იყო მდგრელი ცრემლის ცხარის;
ბრწყინვალე დროც დასდგომია,
დრო დავითის და თამარის!...

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვატარა ქართველი ვარ,
სასელოვან ერის შვილი
და მსურს, მერგოს სასახელო
მეც სიცოცხლე სიამ-ტკბილი.

დუტუ-მეგრელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძაღლების ჭკუა გონება.

გოშია გოგი.

მე რომ შვიდი წლის შესრულდი, დედა-ჩემმა დაბირება ასრულა და მიეიდა ერთი დალალისაგან გოშია ძაღლი, რომელსაც ერქვა ბობი. როგორც-კი მოვიყვარეს, მაშინვე მითხრეს, რომ ბობი რამდენსაც დღეს ჩამეკეტა ოთახში, რადგან ძაღლი ისე გონიერი იყო, რომ ადვილად მიგნებდა თავის ადრინდელი პატრონის—დალალის სახლს. ბობის ჭკუაზე და გამჭრიახობაზე ბევრი რამ შეგიტყვე დალალის ცოლისაგან, რომელიც სამ დღეს შემდეგ ტირილით მოვიდა და ისვეწებოდა, რომ ცოტა ხნით გოშია გვეთხოვებინა მისთვის.

— რაში გეჭირვება? ხომ გაყიდეთ? უთხრა დედა-ჩემმა.

— მე არ გამიყიდია,—გვიპასუხა მან,—ჩემმა ქალმა გაყიდა. ახლა სადღაც დაითვრა და შინ არ მოდის, ბობი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კი რომ დროებით დამანებოთ, მაშინვე ავადოვნიებს. ამის სათხოვრათ მოვედი თქვენთან.

რასაკვირველია დედა-ჩემმა მისცა. ბობომ მაშინვე დალალის კვალი მონახა და სულ ორ საათს არ გაუვლია, რომ მთვრალი კაცი იპოვეს. ბობი ძალიან კმაყოფილი დაბრუნდა ჩვენთან. ჭკვიანი ბობი მიხვდა, რომ ახლა ჩვენ ვიყავით მისი პატრონი და არა დალალი. მართლაც მეორე დღეს თავის ერთგულობა დაგვიმტკიცა და მყარველობა გამიწია მე. ჩემთან სტუმრათ ერთი ნაცნობი ემყოფილი მოვიდა და ჩვენ ხუმრობით დავეკიდეთ ერთმანერთს. სანამ გამარჯვება არც ერთ მხარეს არ იყო, ბობი მოსვენებით წამოწოლილი შემოგვაცქერდა; როდესაც სტუმარმა მაჯობა და ის იყო უნდა წაეყენებინა, ბობი წამოხტა, მივარდა უცხო ემყოფილს და უკბინა.

ბობის უყვარდა ჩვენთან სეირნობა, მაგრამ როდესაც მას არ წავიყვანდით, ჩვენი გადია დასვამდა კიბეზე და სახლს ჩაბარებდა, ბობი ფეხს არ მოიცელიდა, მთელი დღეც რომ არ დაგბრუნებულიყავით.

ბობის მუდამ ერთი ჩვენი ნაცნობი ჭკრეკდა ხოლმე, ჩვენ გადიას მასთან მიჭყავდა. ერთხელ ბობის რომ ჭკრეკდენ, მობეზრდა ბოლომდის დარჩენა და გამოიქცა სახლში. ჩვენ რომ დავინახეთ, მივარდით და დავუწყეთ ჯავრობა, ბობის შერცხვა და მთელი საღამო სადღაც კუთხეში მიიმალა. მეორე დილას გადიამ სელმეორეთ ჩვენ ნაცნობთან წაიყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვანა და როცა სახლთან მივიდენ, გოშიას დაუძვირა: ადი ძაღლა და გააკრეჭინე! ბობიმ შესედა გადიას, კუდი ამოიძუა და ავიდა ძაღლა, გადია წავიდა თავის სექმეზე. ორ საათს შემდეგ ამ ჩვენმა ნაცნობმა ბობი მოიუანა და გვიამბო შემდეგი: გოშია კარების იმდენ ხანს აფსაჭუნებდა, სანამ არ გაუღეს, მერე მოირბინა ჩემთან და გაჯავრებით გამოიძვირა გაუკრეჭელი თათიო.

ამ ამბავს შემდეგ დედა ხშირათ მეუბნებოდა, როდესაც დამეხარებოდა თმის გაკრეჭა: ბობი შენზე გონიერიაო.

ქველ-მომქმედი ძაღლი.

ამ რამდენისამე წლის წინეთ შოტლანდიაში ცხოვრობდა ერთი შესანიშნავი ძაღლი, რომელსაც ერქვა ჯილდა.

ოთველ ცისმარე დღეს ჯილდა თავის ბატრონს ფურნეში მიჰყავდა და ძაღლი მუდამ თვალს ადევნებდა, რომ მიცემული წერილი ფულის მაგივრათ მეფურნე მის ბატრონს თეთრ ბურს აძლევდა. ბატრონმა შეამჩნია ეს და გამოსაცდელათ ჯილდას ერთხელ გროშები გადუგდო. იმან ეს გროშები მოიტაცა და ნაცნობ ფურნეში გაქანა; აქ უკანა ფეხებზე დადგა და ფული მაგიდაზე დაუდო. მეფურნემ ფული აიღო და თეთრი ბური მისცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნუ გგონიათ, რომ ჯილდამ ეს ბური თვითონ შეჭამა! სულაც არა! იმან ბური პატრონს მიუტანა, უჩვენა რომ ბურის ყიდვა შეუძლია და მერე, როგორც-კი პატრონმა თვალი მოჰკრა ამ ბურს—ძალმა მაშინვე გადაულაპა.

ჯილდას სახელი გაუვარდა მთელ არე-მარეზე, რომ გონიერი და ჭკვიანი ძალია და ბევრი გამოსაცდელათ ბლომათ გროშებს აძლევდენ. ესეც იმდენ თეთრ ბურს ჭამდა, რომ საშინლათ გასუქება დაიწყო და ამის ასაცილებლათ პატრონმა მოიგონა შემდეგი სერხი: საყელოზე ეულაბა შეაბა, რომელზედაც ეწერა: «შეეწიეთ ღარიბებს» ჯილდა ამნაირათ სასაწყლოთ ბევრ ფულს აგროვებდა. გათენდებოდა თუ არა, თავის პატრონის ძადახიის წინ ქუჩაში დაცუცქდებოდა უკანა ფეხებზე და როგორც-კი ქუჩაში გამოჩნდებოდა ვინმე გამვალი, ჯილდა გადაედობებოდა, ელაქუცებოდა, ეთამაშებოდა, ფეხებში ებლანდებოდა და სანამ ეურადღებას არ მიაქცევდენ და ფულს ჯიბიდან არ ამოიღებდენ - - არ მოშორდებოდა; როცა დაინახავდა, რომ აბირებენ ფულის მიცემას, ეოველ ღონისძიებით ცდილობდა გროშები ეულაბაში არ ჩაეგდოთ და თვითონ კბილით დაეჭირა. თუ ფული როგორმე ჩაუვარდებოდა, მაშინვე გაქანებდა ფურნეში, ბურს იეიდდა და გადაულაპავდა.

ქუჩის ბიჭები ხშირათ ფულის მაგივრათ ფოლაქებს აძლევდენ, მაგრამ მისი მოტეეება აგრე ადვილი არ იეო. ჯილდა ფოლაქებს არ ართმევდა.

ტასო.

(რუსულიდან)

ეროვნული ბიბლიოთეკა

თ ა ვ დ ე ბ ი.

(ლეგენდა)

ფაბიო მუთინელი ვენეციელ ვაჭართა შორის ეველაზე უფრო მდიდარი იყო და თავისი სიტკვის და პირობის აძასრულებელი. ამასთანავე ძას ძალიან მდიდარ, ხელ-გაშლილ და გულ-უხვ კაცთ იცნობდენ. აქ კიდევ უნდა დაეუმატოთ, რომ ძას მეგობრებიც ბლომათ ჰყავდა, რომლებსაც ხშირათ მეჯლიშს უმართავდა და ფულითაც ეწყოდა. ბოგრამ ვენეციელების ოჯახ მეგობლებთან და ქალაქ ნეაპოლში არეულობამ ძის ვაჭრობას ძალიან ავნო, ფაბიოს ბევრი საქონელი და ფული დაეკარგა. ძის უბედურებას კიდევ ზედ დაერთო ის, რომ ოცდა-ათი საქონლით დატვირთული ძისი გემები ზღვის ეაჩადებმა მოიტაცეს, ამაეე დროს თვით რომის პაპიმ, რომელსაც ამ ვაჭრმა ასესხა დიდი ფული, ვალის გადასდა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე უარი უთხრა; ასე რომ ფაბიო გადარიბდა, გაკოტრდა. როგორც პატიოსანი ვაჭარი და კეთილშობილი ვინეციელი, სარჩოს დაკარგვამ არ შეაშინა და უბედურებას მხნეთ დაუსვდა: თავისი სასახლე, მამული, რაც ჭირფასი ნივთები და ოქრო-ვერცხლი ებადა, სულ გაეიდა, რომ მოვალეები გაესტუმრებინა, და თვითონ უგროშოთ დარჩა.

ჯანმრთელი და ახალგაზდა, მხნე და გამჭრიახი ფაბიო სულით არ დაეცა და დაიწყო ფიქრი, თუ როგორ გამოაწყოს თავისი საქმეები. სათითაოთ ეველაფერი გამოიანგარიშა და იმ დასკვნას დაადგა, რომ მას ხუთასი ოქრო დაჭირდება, რომ ხელ-ახლათ ხდეაში საკაჭრო გები გაგზავნოს. ფაბიო გულში დარწმუნებული იო, რომ მის განზრახვას ბედი არ უმტეუნებდა, ბევრი არც-კი უფიქრია, მაშინვე ერთ კეთილშობილ და მთელ არე-მარეზე სიმდიდრით განთქმულ კაცთან წავიდა საჭირო ფულის—ხუთასი ოქროს სასესხებლათ. იმ კეთილშობილ კაცმა იცოდა, რომ გაბედულობა და მხნეობა კაცს დიდ სიმდიდრეს აშოვნინებს, მაგრამ ისიც იცოდა, რომ ამ სიმდიდრეს მსოლოთ სიფრთხილე შეანახვინებს, ამიტომაც ამოდენა ფულის გაკაკლებაზე, რადენაც ბედი ხდების სტიქიონზეა დამყარებული, უარი უთხრა.

ფაბიომ მერე მიმართა მეორე კეთილშობილს, რომლისთვისაც არა ერთსულ ხელი გაემართა.

— ჭირფასი მეკობარო, უთხრა ამ კეთილშობილმა ფა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიოს,—დიდი სიამოვნებით მიეცემდი მე ამ ფულს სხვას, მაგრამ შენ მეგობრობას ძალიან ვაფასებ და ფული რომ გასესხო, ვშიშობ, ვაი თუ ჩვენ შორის უსიამოვნობა ჩამოვარდეს.

ამ სიტყვებით მეგობარი კარეთ გამოისტუმრა.

მეორე დღეს ფაბიო სხვა მდიდარ ბანკირებთან წავიდა, მაგრამ არც ერთმა უთავდებოთ ოცი ოქროკი არ ასესხა. ეველა ერთი და იგივეს ეუბნებოდა:

— უფალო ფაბიო, ჩვენ შენ გიცნობთ მთელ ქალაქში როგორც ნატიოსან ვაჭარს. გვეწყინა, რომ ჩვენთვის ძალიან მნელია, უარი გითხრათ, მაგრამ ჩვენი ვაჭრობის რიგზე წასაყვანად ასე უნდა მოვიქცეთ.

სამი დღე ფაბიო ეველა ბანკებში და კანტორებში დადიოდა, მაგრამ საჭირო ფული ვერსად ვერ იშოვა. ხშირად ასეთ სიტყვებს ეტყოდენ, რომ შეურაცყოფათ ძიიმჩნევდა, და ამით გულს უკლავდენ.

— შენი მხრით, ფაბიო, უჩვეობაა და დაუდეგრობა, რომ ვალების გასასტუმრებლათ ძეირფასი ავეჯი და ვერცხლის ჭურჭლეულობა გაყიდე. შეიძლება ისეთ კაცს ასესხონ ფული, რომელსაც ვალი აქვს, მაგრამ ვინ მიცემს, თუნდ გროშს, იმისთანას, რომელსაც არც მამული და არც სახლკარი არ გააჩნია?!

მეხუთე დღეს ფაბიო, იმედ დაკარგული, წავიდა ებრაელების უბანში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ვინ იცის, ეუბნებოდა ის თავის თავს, — იქნება ურიებმა მიმცეს ის, რასაც ქრისტიანებმა უარი მითხრეს.

ამ ფიქრებში გართული ფაბიო ვიწრო და ჭუჭიან არხის წყალზე ნავით ებრაელების უბანში მიცურავდა. ჯერ არ გადაეწყვიტა მას, რომელ მეგობარს ებრაელს მიადგებოდა კარზე. მერე მოაგონდა, რომ ყველაზე სიმეტდი იქნებოდა ვაჭარი ელიეზერი, რომელიც სიმდიდრით და დიდი ბეჭედით განთქმული იყო. ფაბიომ იკითხა ელიეზერის ბინა და თავისი ნავი სწორეთ მის სახლის კარებ წინ მიაყენა. ფაბიო შეეიდა ოთახში. თორმეტ ფეთილიანი სანათური ანათებდა ოთახს. ებრაელი ელიეზერი იჯდა მაგიდასთან, რომელზედაც სასწორი იდგა. ოთახს გზის მხარეს ფანჯრები ამოქოლილი ჰქონდა.

— ელიეზერ, უთხრა ფაბიომ, — ხშირათ მე შენ უკადრისათ გიხსენებდი, ურჯულოს გეძახოდი; იქნება ჩემ სიკეთეზეილში ბევრჯელ ქმენიც და ტალახიც თქვენიანებისთვის მისრულია, იქნება სწორეთ შენთვის დაძირტყამს კიდეც. მე ამიტომ-კი არ ვეუბნები ამას, რომ შეურაცყოფა მოგაყენო, მე სამართლიანობა და კეთილი განსრახვა მალაპარაკებს. მე მოვედ შენთან დიდი სათხოვრით.

ებრაელმა თავისი გამხმარი და დაკლანჭული ხელი აიღო მაღლა და თქვა:

— ფაბიო, ზეციერი ძაძა გაგვასამართლებს ჩვენ, მითხარი, რა სათხოვარი გაქვს ჩემთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ხუთასი ოქრო მასესხე ერთი წლით.

— უთავდებოთ სესხს არავინ აძლევს, შენ უსათუოთ თქვენიანებისაგან გეცოდინება. მითხარ, შენი თავდები ვინ არი?

— მე შენ უნდა გითხრა, ელიეზერ, რომ მე ახლა არც ერთი გროში არ მაბადია, არც ერთი ოქროს თასი, არც ერთი ვერცხლის ჯიქა არა მაქვს; მეგობრებზედაც სელი ავიდე, რადგან არც ერთმა მათგანმა არ მიშველა. მე შხოლოთ ვაჯრის ჰატიოსანი სიტყვა და ქრისტიანის სარწმუნოება დამრჩა. მე თავდებათ გიფენებ წმიდა მარიამ ღვთისმშობელს და მის ძეს იესო ქრისტეს.

ამ სიტყვებსე ებრაელმა თავი ჩადუნა, რადაც ფიქრს მიეცა, მერე რამდენჯერმე სელი გადისვა თავის ჯადარა წვერსე და თქვა:

— ფაბიო, წამიყვანე შენ თავდებებთან. სამართალი მოითხოვს და საჯიროკ არის მეკანონეთვის რომ თავდები, რომელსაც უყენებენ, ჰირადათ ნახოს.

— რასაკვირველია, ეგ შენი უფლება და ნებაა, უჰასუსა ვაჯარმა,—ადეგ და წამოდეგი.

და მან მახლობელ ეკლესიაში ელიეზერი წაიყვანა, ებრაელი შეხვედა ღვთისმშობელს, რომელიც ოქროს ტანისამოსით და თავსე მეინოგანი ქვებით შემკული გვირგვინით ტაძარში ესვენა და რომელსაც სელში ჰატარა იესო ეჭირა და ასე უთხრა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— აი ჩემი თავდები!

ელიეზერმა ხან ვაჟარ—ქრისტიანს გადახედა და ხან ღვთისმშობელს იესო ქრისტეთი. მერე ჩადუნა თავი და თქვა, ამათ თავდებობას ვეჟურდებიო. ებრაელმა ფაბიო ისევ თავის სახლში წაიყვანა და ხუთასი ოქრო სრულათ დაუთვალა.

— ამ ფულს მე შენ ერთი წლით გაძლევ, უთხრა ელიეზერმა, — თუ წლის თავზე, სწორეთ 24 ქრისტეშობისთვეს, არ მოიტანე ფულს ვენეციაში კანონით დადებულ სარგებლით, მაშინ წარმოიდგინე, რა ახრის ვიქნები ქრისტიან ვაჟარზე და მის თავდებებზე.

ფაბიომ მაშინვე ვემი იყიდა, მარილით და სხვა სავაჭრო ნივთებით დატვირთა და ახლო-მახლო ზღვის ჰირას საქონელი დიდი მოგებით გაყიდა. მერე რამდენიმე ვემი იყიდა და სტამბოლში გასწია, იქ დატვირთა სალიჩებით, სპილოს ძვლებით, ფარშევანგის ფრთებით, სხვა-და-სხვა სუნელოვანი ბალახების ხეთით და გაგზავნა დალმაციაში ხე-ტყეზე გამოსაცვლელათ, რომელიც ადრევე ვენეციაში გაყიდული ჰქონდა კიდეც. ასე ექვსი თვის განმავლობაში ებრაელისაგან ნასესხი ფული ერთი ათათ აქცია.

ერთხელ ფაბიო ხმელთა შუა ზღვაზე ბერძნის მადალ საზოგადოების ქალებთან ერთათ დასეირნობდა, ამ დროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღვის უაზრდები დაეცენ და ფაბიო ტუვეთ წაიყვანეს ეგვიპტეში. მისი საქონელი და ფული-კი ყელ-შეუხებელი დარჩა.

ზღვის უაზრდებმა ფაბიო ეგვიპტელის ერთ დიდ კაცს მიჰყიდეს, რომელმაც შეაბოჭინა და თავის ბურის ანებში სამუშაოთ გაგზავნა.

ფაბიომ თავის გამოსასყიდლათ ამ კაცს დიდი ფული შეაძლია, მაგრამ ამის ქალიშვილს ეს ლამაზი ვენეციელი მოეწონა და მამას ტუვეს განთავისუფლება დაუშალა. ფაბიოს თავის გამოყიდვის იმედი რომ დაეკარგა, ბორკილი გადახერხა იმ ცელით, რომელიც მიცეს ბურის მოსაჭრელათ, მერე ნილოსის ნაპირამდინ მიირბინა, ნავში ჩაჯდა და ისე გაიქცა. ძალე ზღვამდისაც მიახწია, მაგრამ იქ რამდენიმე დღე უმეტესი-უმეტესი ტალღების ებრძოდა, სანამ ერთმა ესპანელმა გემმა არ აიყვანა, მაგრამ საშინელმა ფრთონამ ეს გემი სწორეთ დალმაციის ნაპირებთან დაამსხვრია.

ვინც ამ გემსე იყო, თითქმის ყველა დაიღუპა, ფაბიომ ფრინველის გალიის მეოხებით, რომელიც გემსე იპოვა, როგორც იყო თავი დაახწია და ნაპირს მიუახლოვდა. აქ მოაკვდავი უგონო ფაბიო იპოვა ერთმა ქვრივმა ქალმა, ლორეტამ, რომლის სახლი აქვე ზღვის პირას იდგა. ლორეტამ მაშინვე მსახურებს მომაკვდავი სახლში წაიღებინა, თბილ ქვეშაგებში ჩააწვინა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა მის მოსარჩენათ.

როდესაც ფაბიო სრულებით კარგათ გახდა, ლორეტამ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბადისკენ. რომ ფანჯარა იყო, გააღო და იქიდან დაანასვა სულელოვანი სხვა-და-სხვა უკვეილები. ახალ მორჩენილს უსაროდა, რომ გაძოცოცხლდა და მადლობას ეუბნებოდა თავის მხსნელს ლორეტას.

დრო გარბოდა, ფაბიოს სისარულთან სხვა-და-სხვა ფიქრები და დარდები დაუბრუნდა. ბოლოს ლორეტას ჰკითხა—რა თქვა და ან რა რიცხვიო? ლორეტას ეასუხნა ფაბიო შეგრთდა. ებრაელისაგან ნასესხ სუთასი ოქროს ვადამდის მხოლოთ ოკ-და-ოთხი საათი დარჩენილიყო. შეწუხდა ფაბიო, მიცემული სიტყვა უნდა გაეტეხა და მისი თავდებები ვინ იცის ურიების როგორ ცუდათ ეხსენებინათ. ლორეტა დვთის მოუყარე ქალი იყო და რომ გაიგო ეს ამბავი, თითონაც ძალიან შეწუხდა. საქმე ფულის შოვნაზე არ იყო, ამათ ახლო ქალაქში ფაბიოს ერთ ბანკირთან ფული ჰქონდა მიბარებული. საქმე იმაში იყო, რომ ოკ-და-ოთხ საათში დალმაციიდან ვენეციამდის, როდესაც ხდეა დელავდა და საშინელი ქარი ქროდა, ამ ფულს ელიუზურს ვინ მიაწოდებდა.

— გაგზავნეთ საჩქაროთ ფულის მოსატანათ, შეჰყვირა ფაბიომ, მე ვიცი, როგორც მოგასერხო.

როდესაც ფაბიოს ფული მოუტანეს, მან უბრძანა ეატარა ნავი ნავბრზე მოეყენებინათ, შიგ ოქროს ფულით საავსე ტომრები საავწო, მერე ლორეტას ოთახიდან გამოიტანა შვენიერი ხელოვნურათ გაკეთებული შავი ხის სატი დვთისმშობლისა იესო ქრისტეთი ერთათ და ნავის თავში ჩადგა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— წმიდაო ღვთისმშობელო, შენა ხარ ჩემი თავდებო. ებრაელ ელიეზერმა ხვალ თავის ფული, უსათუოთ უნდა მიიღოს. ამის ჩვენი ჰატიოსნება მოითხოვს და იესო ქრისტეს სადიდებლათაც საჭიროა. რაც ჩემისთანა ცოდვილს არ შეუძლიან, შენთვის, ღვთისმშობელო, ადვილი ასასრულებელია! ეს ფული ებრაელ ელიეზერს ვენეციაში წაუღე, რომ მან შენ თავდებობაზე ცუდი არა იფიქროს-რა!

ფაბიომ გაუშვა ნავი ზღვაში, თან სასოებით ქუდი მოიხადა და დაუმატა:

— გზა მშვიდობისა, ჩემო წმიდა თავდებო!

ნავი ზღვაზე გასრიალდა. ვაჭარი და ლორეტა დიდ ხანს თვალს არ აშორებდენ. დღეიმდა. წმიდანი მგზავრის ნავს შოლოთ თეთრი ზოლი რჩებოდა ამ აღელვებულ ზღვაზე.

დილა ადრიანათ, ოც-და-ოთხ ქრისტეშობისთვეს ელიეზერმა რომ თავის სახლის კარი გააღო, დინჯარა ტომრებით დატვირთული ნავი და შიგ ხეზე გამოსახული ღვთისმშობლის ხატი, რომელსაც განთიადის სხივები ზედ ადგა. ნავი სწორეთ ელიეზერის სახლის წინ შედგა. ელიეზერი მიხვდა ეს ნავი ვისგანაც იყო გამოგზავნილი და სასოებით მიიღო ვაჭარ ქრისტიანისაგან ეს წმიდა თავდები — ღვთისმშობელი მარიამი თავისი ძე იესოთი.

ან. წერეთლისა.

(რუსულიდან)

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მძინარე ლომი.

ომსა დაქანცულს გრილოში
ღრმა მილით ჩასძინებოდა
და სამკაულათ ფაფარი
მხარ-ბეჭზე ეფინებოდა.
არას ჭფიქრობდა საგებზე,
არც ჯერ-სასურავ-ბანზედა,
მოლზე მიწოლილს ნებივრათ
კუდი მოეგდო განზედა.
ფეხებ-გაშვერილს მოუწნდა
თავ-ზარ დამცემი ბრჭყალები,
ომის და ბრძოლის შემდეგა
დაღლილი, დამაშვრალები.
ამ გვარათ მეოფი მხეცთ მეფე
მკვდარი ეგონა ტურასა,
იფიქრა: საძახარობლის

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკეთესს ვნახავ თუ რასა?
ჩამოუარა ტუმ და ტუმ
სხვა-და-სხვა ნადირთ გროვასა,
უმახარობლა: «ნურადეს
ნულარ იწუებთო გლოვასა!—
შიში ნულარ გაქვთ აწ ლომის—
ამოჭხდენია სულიო,
აგერ მწვანეზე აგდია
ის ფეხებ გაშლართულიო!..
წამოთ, დასვდეთ იმ ძლიერს,
აწ კი უწეინარს, ძმეიდსაო!
კარგს ვიზამთ, გადავუსდიდეთ
წირვას და პანაშვიდსაო!»
მსეცთ გაუსარდათ თხრობილი,
უსმინეს ტურის ენასა
და მეის მიეკენ საერთოთ
გამოუთქმელსა ლხენასა!..
აროკდენ დიდის სიამით
მაჩვ-ტურა-მგელ-დათვ-მელები,
რომ ლომის ნაბუდარზედა
მათ დაეუარათ ბელები!..
შეჭქნეს დრიალი, სიმღერა,
წინ გაიმღერეს ტურა მათ
და გაეშურენ ლომისკენ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვითომც ცრემლთ დასაწურავათ!
მივიდენ, ნახეს, რომ ჭვდია,
უფრო ატეხეს დრიალი
და, თითქო ფერხულს უვლიდენ,
გარშემო უწევს ტრიალი.
თან ეკაერის ამოსაყრელათ,—
ვის როგორ შეეხებოდა, --
წიხლებით დასათრგუნავათ
ზოგი ზედ შეახტებოდა!..
მაგრამ ოჭ, საშინელებავ!
«მეფდარი» გაცოცხლდა, აკარდა
და მოდრიალე ძმეკთ გუნდზე
საშინლათ გაინავარდა!
ცოცხალი ადარ გაუშვა,
ვისაც მოაკლო ბრეკალები,
სუეკელას დედა უტირა,
გამოუნელა თვალები!..
ამბობდა: «ძაშ ჩემ სიკვდილში
ემებდით სიამესაო?!..
უჩქარით ჩემსა დამარხვას,
ცოცხლათ მიგებდით წესსაო!!..»

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვამიგონია, ძლიერმა
ძალიც ძლიერი იცისო.
არცარა დაიჯერება
ტურის ნათქვამი ფიცისა!

დ. თომაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწინდელი ცხოველები.

(დასასრული)

ამ ცხოველების გვარს, რომლებიც წინა წერილის ბოლოში განვიხილეთ, ეკუთვნოდა აგრეთვე ერთი ცხოველი— იგუანოდონი. ეს ცხოველიც უწინდელ დროს ცხოვრობდა დედამიწაზე, მაშინ როდესაც ჯერ ადამიანი არ არსებობდა. აქაც მოგეყაენ ამ ცხოველის სურათიც, საიდანაც შეგიძლიათ გაიგოთ, თუ როგორი მოყვანილობის იყო ის. იგუანოდონს ჰქონდა წერილი და მოგძო თავი, რომელიც მცირეოდენთ წააგავდა გველის თავს. გძელი და წერილი კისერი უერთდებოდა ტანს, რომელიც თავისი მოყვანილობით გასაოცარი იყო. წინა ფეხების ალაგას, ანუ ბეჭებში ტანი იყო წერილი, შემდეგ ის თან-და-თან სხვილდებოდა უკანა ფეხებისაკენ, აქედან ისევ თან-და-თან წერილდებოდა და უერთდებოდა გძელ და სხვილ კუდს, რომელიც ბოლოში წერილი იყო და სიგძით თითქმის მთელ ტანს უდრიდა. იგუანოდონს ჰქონდა ოთხი მოსხო და მოკლე ფეხები, რომლებიც ხუთ-ხუთი თითებით თავდებოდენ; როდესაც იგუანოდონი დარბოდა, მისი გძელი კუდი ძირს მისლიკინებდა. ამ კუდის შემწეობით იგუანოდონს შეეძლო უკანა ფეხებზე დადგომა: თუმცა მარტო უკანა ფეხებზე გაჩერება მას არ შეეძლო, მაგრამ მიიშველებდა ხოლმე ყაეარჯნათ თავის სხვილ კუდს, ზედ დაენდობოდა და ამგვარათ პატარა ფინია ძაღლიეთი დადგებოდა უკანა ფეხებზე და კუდზე. სიგძით იგუანო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დონი სამ საკენზე მეტი იყო. რატომ მიეჩვია ეს ამოდენა ცხოველი უკანა ფეხებზე შედგომას? აი რატომ: იგუანოდონი საზრდოობდა მცენარეულობით, მაგრამ მას განსაკუთრებით ხის ფოთოლი მოწონდა. რადგანაც მას მოკლე ფეხები ჰქონდა და მაღალ ხეებს ვერა წვდებოდა, ამიტომ შედგებოდა ხოლმე უკანა ფეხებზე, დაბიჯგებდა კუდს და ამგვარათ საუცხოოთ წვდებოდა ხის ფოთლებს. იგუანოდონს ჰქონდა მაგარი კბილები, გძელი ტუჩები და გძელი და პტყელი ენა; ენას მოუსვამდა ხოლმე ხის ფოთლებსა და პატარა ნორჩ ყლორტებს, მაგარი კბილებით გაუჭირვებლათ მოგლეჯდა და ამგვარათ ირთობდა თავს. ხასიათით მშვიდი და წყნარი იყო და სხვა ცხოველებს არას ერჩოდა. ტყავი იგუანოდონს ისეთივე ჰქონდა, როგორც სპილოს — უბალნო.

ახლა განვიხილოთ ის ცხოველები, რომლებიც დაფრინავდენ. ამ სიტყვების წაკითხვაზე შენ უსათუოთ ჩაიცინებ, ჩემო პატარა მკითხველო, და იტყვი: დაიჭირე შეცდომაში, დაფრინავენ ფრინველები და არა ცხოველებიო. მაგრამ მე რომ შეცდომა არ მომსვლია, ამას ახლავე დაინახავ. მართალია დღეს ყველა ფრინველი განირჩევა დანარჩენი ცხოველებისაგან თავისი გარეგნობით, მაგრამ უწინდელ დროში, როდესაც ჩვენი დედამიწის ზურგზე ადამიანის ხსენებაც-კი არ იყო, ასე რამოდენიმე ასი ათასი წლის წინეთ, ხშირათ იყო ისეთი არსება, რომელიც ერთსა და იმავე დროს ოთხფეხ პირუტყვესაც წაგავდა და ფრინველსაც: იმას ჰქონდა ოთხი ფეხი, კუდი და იმავე დროს წინაფეხებზე გაბმული პქონდა ფრთები, რომლებითაც მას ფრინვა შეეძლო.

ერთი ამგვარი ცხოველი დღესაც-კი არსებობს — ღამურა. ფრინველია ღამურა? არა! ფრთები რომ არა ჰქონდეს, ის ნამდვილი თაგვია; შენ იქნება არც-კი იცი, რომ ღამურა კვერცხებს-კი არა დებს, როგორც სხვა ფრინველები და ქვეძძრომნი, არამედ პატარა ღამურებს დაყრის ხოლმე და ძუძუს აწოვებს!

იმგვარ ცხოველებს, რომლებიც დაფრინავდენ, მეცნიერები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწოდებენ ფთეროდაქტილებს. ფთეროდაქტილი მოგაგონებდათ დიდ ჯოჯოს, რომელსაც ძირს სირბილს გარდა ჰაერში ფრენაც შეეძლო ფრთების შემწეობით. ზოგიერთი ფთეროდაქტილი პატარა იყო, ზოგი-კი უფრო დიდი, მაგრამ ფრთები ყველას განიერი და გძელი ჰქონდა. ფთეროდაქტილს ჰქონდა გძელი და სხვილი ნისკარტი, ოთხი კლანჭებიანი ფეხი და ძალიან გძელი კუდი; ფრთები-კი მას სწორეთ ისე ჰქონდა მოწყობილი, როგორც ღამურას, გარეგნობითაც ღამურას ფრთებს წააგავდა და არა ფრინველისას; თითოეული ფრთა გაბმული იყო წინა ფეხსა და უკანა ფეხს შუა. იმათ საზრდოს შეადგენდენ სხვა-და-სხვა მწერები, პატარა ჩიტები და ზღვის თევზები.

ამგვარათ ძირს დედამიწა საესე იყო ათასგვარი გასაოცარი ცხოველებით, და ჰაერში დანავარდობდენ სხვა და-სხვა კიდევ უფრო გასაოცარი საკვირველი არსებანი, ადამიანი-კი ჯერ არსად იყო. ნელა-ნელა მიდიოდა დრო, გაიარა რამოდენიმე ასი ათასმა წელმა და ყველა ეს ცხოველები ამოწყდენ, გადაშენდენ, მათ ალაგას თანდა-თან განვითარდენ სხვაგვარი ცხოველები. როგორც ჩვენს დროში ზოგიერთი ცხოველი ბინადრობს ერთ რომელიმე ალაგას, სხვაგან-კი მას ვერ შეხვდებით, ისე უწინაც ზოგიერთი ცხოველი მარტო ერთ რომელიმე ქვეყანაში ცხოვრობდა, სხვაგან-კი არსად იყო. მაგალითათ ინდოეთში იყო ერთი უზარმაზარი ცხოველი, რომელსაც მეცნიერებმა სიეატერი დაარქვეს. სიეატერი იყო ძალიან დიდი ტანის ცხოველი, რომელიც მცირეოდნათ წააგავდა ირემს. დედალ სიეატერს რქები არა ჰქონდა, მამალი-კი შეიარაღებული იყო ოთხი რქით; ორი რქა იმყოფებოდა წინ, თვალებს ცოტა ზემოთ, ორიც უკან იმ ალაგას, სადაც რქები აქვთ ხარს, ირემს და სხვ. წინა რქები სიეიტერს ჰქონდა პატარა და წვრილი, უკანა რქები-კი გძელი იყვენ, განიერი და ხშირათ იყოფოდენ ორ ან სამ შტოებათ, ასე რომ ცოტათი ირმის რქებს წააგავდენ. მამალ სიეიტერს კისერზე სქელი და გძელი ბალანი ჰქონდა; ხოლო სიეატერის თავის მოყვანილობა ძალიან უშნო იყო. ინდოეთში ცხოვრობდა აგრეთვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

უშველებელი კუ, რომლის მზგავსიც დღეს აღარსად აღარ მოიპოვება. ეს კუ სრულებით იმგვარი იყო, როგორიც დღეანდელი პატარა კუ, მაგრამ ნამეტანი დიდი ტანის იყო: ის სიგძით საკენზე მეტი იზდებოდა! ინდოელების ზოგიერთ ზღაპრებში მოხსენებულია ეს კუ; აქედან ცხადია, რომ ეს ცხოველი ადამიანის დროს ყოფილა ქვეყანაზე და სულ რამოდენიმე ათასი წლის წინათ გადაშენებულა.

თითქმის ამ უზარმაზარი კუს დროს ცხოვრობდა ჩვენს ქვეყანაზე ვეება სპილოც, რომელსაც მამონტს უწოდებენ. სიმაღლით მამონტი იყო ორი საკენი, სიგძით-კი ორ საკენ ნახევარი. მოყვანილობით ის სრულებით სპილოს წაგავდა. ტანი შემოსილი ჰქონდა გძელი და სქელი ბალნით, მოკლე და წერილი კუდი-კი შეუმოსავი იყო. ხორთუმის იქითა-აქეთ გამოშვერილი ჰქონდა ორი უშველებელი კბილები ანუ ეშვები, რომლებიც სპილოს ეშვებზე გაცილებით გძელი და სხვილი იყვენ. რათ უნდოდა ამოდენა ეშვები მამონტს? მამონტი საზრდოობდა მცენარეულობით და განსაკუთრებით ფოთლებით. თუმცა ის მაღალი იყო და ხორთუმიც გძელი ჰქონდა, მაგრამ მიუხედავათ ამისა იმ ალაგებში, სადაც მამონტები ცხოვრობდენ, ისეთი მაღალი ხეები იყო, რომ მამონტი ვერა წვდებოდა მათ ფოთლებს. ამიტომ მამონტი ამოდგებდა ხორმე თავის ეშვებს ხის ფესვებს, ამოგლეჯდა ხეს და, როკი ხე ძირს წაიკეცოდა, არხეინათ შეექცეოდა იმის ფოთლებს. მამონტი განსაკუთრებით ციე ქვეყნებში ცხოვრობდა, ის ბლომათ იყო ციმბირში. სულ რამოდენიმე ათასი წელიწადი იქნება, რაც მამონტი მოისპო ქვეყანაზე. მამონტის დროს ადამიანი უკვე მომრავლებული იყო. ამიტომ ზოგიერთი მეცნიერი იმ აზრის არის, რომ მამონტი ადამიანმა ამოწყვიტა.

უწინდელ დროში უზარმაზარ მხეცებს გარდა იყვენ უზარმაზარი ფრინველებიც. ზოგიერთ ადამიანს სირაქლემა მიაჩნია საკვირველ ფრინველათ, მაგრამ უწინ იმხელა ფრინველები ცხოვრობდენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს დედამიწაზე, რომ სირაქლემა იმათთან სულ არ არის გამოსაჩენი. ამგვარ ფრინველებს ეკუთვნის მოა, რომელიც ცხოვრობდა ახალი ზელანდიის ერთ კუნძულზე. ამ ფრინველის სიმაღლე ორ საჟ. უდრიდა, ასე რომ რაც უნდა მაღალი კაცი ყოფილიყო, სრულებით ადვილათ გაიელიდა მის ქვეშ. მოას იმ სიგძე ფეხები ჰქონდა, რომ იმის ფეხებ შუა კაცი ცხენს ადვილათ გაჰენდა. ამ უზარმაზარ ფრინველს ფრთები არა ჰქონდა, ამიტომაც ვერ დაფრინავდა, სამაგიეროთ სირბილი ისეთი იცოდა, რომ გაჰენებული ბედაური ვერ მოწვდებოდა. ორასი წელიწადი არცკი იქნება, რაც ეს ფრინველი გადაშენდა ზელანდიის კუნძულზე. მისი გადაშენების მიზეზი ადვილი გასაგებია; ამ კუნძულის მცოვრებლები უმთავრესათ ნადირობით ირჩენდენ თავს; მოა-კი ძალიან გაუფრთხილებელი ფრინველი იყო: მას ადვილათ მიეპარებოდენ ხოლმე და შეუბრალებლათ ხოცამდენ, რადგანაც ერთი მოა მთელ ოჯახს, სულ ცოტა, რამოდენსამე დღეს მაინც ეყოფოდა. ყველა მოა იმხელა ტანის არ ყოფილა, როგორც ჩვენ აქ აეწერეთ; ზოგი მათგანის სიმაღლე ნახევარ საჟენს არ აღემატებოდა. თავით, კისრით და ტანით მოა სრულებით ფრინველს წააგავდა, ხოლო მას ბოლო აკლდა და ფეხები ერთობ სხვილი და გძელი ჰქონდა. მოას კვერცხი უდრიდა 150 ქათმის კვერცხს და იმდენათ მაგარი იყო, რომ ზელანდიის კუნძულზე ბაობიან ადგილებში ახლაც-კი პოულობენ ხოლმე მოას კვერცხს, შლამში ჩაფლულს. ამგვარათ მოას კვერცხს სულ ცოტა ორასი წელიწადი მაინც შეძლებია გაძლება.

ზღაპრებში ხშირათ არიან მოხსენებული სხვა-და-სხვა ადამიანის მგზავსი არსებანი, რომლებსაც ჩვენი ხალხი მდევებს უწოდებს. ხალხის რწმენით ეს მდევები ცხოვრობდენ უძველეს დროს და საშინელი ძალ-ღონის პატრონი იყვენ. რასაკვირველია, ხალხი ამ შემთხვევაში შემცდარია, და უწინ არავითარი მდევები არა ყოფილან, რომლებსაც ადამიანის მზგავსება ჰქონოდეთ, მაგრამ იყვენ ისეთი ცხოველები, რომლებიც თავისი ძალ-ღონით ნამდვილ ზღაპრულ მდევებს წარმო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ადგენდენ. ერთ ასეთ ცხოველთ უნდა ჩაითვალოს მეგათერი. ტანის მოყვანილობით მეგათერი წაგავდა იგუანოდონს: ბეჭებში ტანი წერილი იყო, შემდეგ თან-და-თან სქელდებოდა და თავდებოდა სხვილი და მოკლე კუდით, რომელიც ბოლოში წაწერილებული იყო. ტანზე მეგათერი ბალნით იყო შემოსილი, მაგრამ ბალანი თხელი და მოკლე იყო, კუდი-კი შეუმოსავი ჰქონდა. თავი მეგათერს თაგვისას მიუგავდა, ხოლო ზედა ტუჩი და ცხვირი წაგძელებული ჰქონდა თხუნელასავით. უკან მეგათერს ჰქონდა ორი სხვილი ფეხი, წინ-კი ისეთივე ხელები, როგორც მაიმუნებსა აქვთ. ხელები მეგათერს ძალიან გძელი ჰქონდა და მისი სხვილი ხუთ-ხუთი თითები გძელი და მაგარი კლანჭებით თავდებოდენ. სიგძით მეგათერი ორ საჟენ ნახევარზე მეტი იზრდებოდა. იგუანოდონიეთი მას შეეძლო უკანა ფეხებზე და კუდზე გაჩერება; მის საყვარელ საზრდოს შეადგენდა ხის ფოთლები; რაც უნდა მაღალი ხე ყოფილიყო, თუ კი მისი ფოთლები მეგათერს მოეწონებოდა, უსათუოთ მოიპოვებდა. მერე რა გზით, როდესაც მისი სიგძე სამი საჟენი არც-კი იყო? მეგათერის გძელი ხელებისათვის შეუძლებელი არაფერი იყო: ის წამოყუნტდებოდა ფეხებზე და კუდზე, შამოხეევდა თავის ხელებს ხეს, დაუწყებდა იქით-აქეთ ნჯღრევას და მოამტვრევდა; შემდეგ მოდგებოდა მის ფოთლებს და ნორჩ ტოტებს და დაუწყებდა კრატუნს, ვითომდა არაფერიც არ მომხდარაო. როდესაც ხეს ვერ წააქცევდა, მაშინ მის ახლობელ ტოტებს მოდგებოდა ხოლმე და დაუწყებდა მტვრევას; პატარა ხევებს-კი ძირიანათ თხრიდა მიწიდან.

ამგვარათ, ჩემო მკითხველო, ქვეყნიერობაზე არა თუ დღეს არის ბევრი რამ საკვირველი, საკვირველი უწინაც ბევრი რამ იყო. იყო ისეთი დრო, როდესაც დედამიწაზე ადამიანის ხსენებაც-კი არსად ჩნდა, მაგრამ ხმელეთზე დალაღობდენ მრავალი გასაოცარი ცხოველები, წყალში დანავარდობდენ სხვა-და-სხვა გვარი უზარმაზარი არსებანი და ჰაერში დაფრინავდენ გასაოცარი სულიერნი, რომლებსაც ფრთები ჰქონდათ, მაგრამ ფრინველები არ იყვენ და უშვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებელ ჯოჯოს უფრო წააგავდენ; ამაეე დროს ქვეყნის ზოგიერთ ალაგას დაიზლაზნებოდენ უზარმაზარი ფრინველები, რომლებსაც ფრთები სრულებით არ გააჩნდათ. ყოველიეე ეს გაქრა, მოისპო და მისი ალაგი სხვებმა დაიპირეს; ქვეყანაზე ყოველისფერი იცვლება და სხვაფერდება ნელ-ნელა; ის, რაც წინეთ იყო, დღეს აღარ არის. ის, რაც დღეს არის, რამოდენიმე ათასი წლის შემდეგ ამაეე სახით აღარ იქნება. ვინ იცის, რამდენი გაჩნდება ისეთი ცხოველი მომავალში, როგორიც დღეს სრულებით არ მოიპოება ჩვენს დედამიწაზე!

ი. გომართელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლედი ჯენ.

(ჯემისონის მოთხრობა)

XVII

ქერარის სადილი.

ორიდ ხანს იჯდა პატარა ლედი ჯენი და ფართეთ გაბელილი თვალებით მიჩერებოდა ხალხს, რომელიც მის წინ ირეოდა. ეერა-კი წარმოედგინა რა უნდა ექნა ახლა... ჯერ კიდევ ცოტა იმედი ჰქონდა, ტებურაკი მიპოვნისო, მაგრამ როცა შენიშნა, რომ „დრო მიდის, მისი წამყვანი-კი არაფერ ჩანს—თანდა-თან უფრო შეწუხდა და შეშინდა... ტირილით მაინც არ ტირიოდა, რადგანაც „კარგათ იცოდა, რომ ცრემლებით საქმეს ვერ გამოეთებდა... დაღლილობისაგან თავი ატკივდა, წყურვილისაგან ყელი გამოუშრა, საშინლათაც შიოდა... ტიბურაკი-კი არსად ჩნდა...

ნუ თუ ყველამ დავიწყა, ნუ თუ აღარაფისა აქეს მისი ჯაერი? ამ აზრმა ისე შეაშფოთა პატარა ჯენი, რომ მას მოსვენებით ჯდომა აღარ შეეძლო, წამოხტა და ისევ შეუდგა ქუჩებში სირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბილს... ახლა ახალი უსიამოვნება შეხედა... ქუჩის ბავშვებმა რომ დაინახეს, პატარა მორთული ქალი მარტო დარბისო, მოსვენება აღარ მისცეს... ერთმა გვერდში ხელი ჰკრა, მეორემ კაბა კინაღამ გაუხია... შეშინებული ლედი ჯენი კურდღელივით მიიმალა ერთი დიდი სახლის შესავალ კარებთან... ის მიჩვეული არ იყო, რომ ასე უზრდელათ მოქცეოდენ.. და მასკა რომ არ ჰქონოდა, უთოოთ მისი ლამაზი, შეწუხებული და შეშფოთებული სახე მიიქცევდა მაყურებლების ყურადღებას და მფარველს უშოვნიდა მას მათ შორის...

ერთი საათის ხეტიალს შემდეგ პატარა ჯენი ისევ იმ სახლს მიადგა, რომლის წინათაც პირველათ დაჯდა დასასვენებლათ, როცა ტიბურცის მოაშორა ხალხმა. დაღალულ-დაქანცული, ის ხელახლავ დაეშვა ნაცნობი კიბის პირველ საფეხურზე და შეუდგა იმის ფიქრს, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. ამ დროს მან დაინახა, რომ მის პირდაპირ, ერთ დიდ სახლთან, მშვენიერი ეტლი შეჩერდა და იქიდან გადმოვიდა სამი კაცი, ორი ხნიერი და ერთი სულ ახალგაზდა; როცა ახალგაზდამ ჯენისკენ მოიხედა, ბავში სიხარულისაგან მთლათ ათრთოლდა, წამოხტა ფეხზე, გაიშვერა მისკენ ორივე ხელი და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, დაიყვირა:

— ეს მე ვარ! ლედი ჯენი ვარ!

ახალგაზდა კაცმა მოიხედა და გაკვირვებით შეხედა გამუზნულ ვარდის ფერ დომინოში გახვეულ პატარა არსებას. სიტყვები ვერ გაიგონა, მხოლოთ ხმა გაიგონა ბავშის, სუსტი, ვედრებით სავსე ხმა... და საშინელი სიბრალული იგრძნო ამ ქუჩის ბავშისადმი, რომელიც ისეთი ხვეწნით იძახოდა რაღაცას... მაგრამ მაინც არ შეჩერებულა და დიდი სახლის განიერ კიბეზე აჰყვა ხნიერ კაცებს.

რასაკვირველია, ის ვერ იცნობდა ლედი ჯენს... მაგრამ ლედი ჯენმა-კი კარგათ იცნო ის ყმაწვილი კაცი, რომელმაც ცისფერი ყანჩა აიუქა. მან ისე ახლოს გაიარა—და ვერ იცნო თავისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მეგობარი... ჯენი მას უძახოდა—და მან ვერ გაიგონა! ეს ფიქრი-კი ეეღარ აიტანა პატარა ლედიმ, მეტი მოთმენა მას აღარ შეეძლო... სასოწარკვეთილებით დაეცა კიბეზე და მწარეთ აქვითინდა.



ტირილში ბავშს მიეძინა და დროებით დავიწყდა ყველა თავისი უბედური თავგადასავალი. მაგრამ უცებ მან იგრძნო, რომ ეიღაცა აღვიძებდა და ეუბნებოდა, სახლში წადიო. ჯენმა გაკვირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევებით გაახილა თვალები და მიიხედ-მოიხედა. მის წინ იდგა მაღალი კაცი, რომელსაც წინ ბრწყინველე ფოლაქები ეკერა და ხელში დიდი ჯოხი ეკავა როდესაც ბავშვი წამოდგა—კაცმა ბურტყუნით განაკრძო თავისი გზა... ბავშმა ვაიგონა, რომ ის ლაპარაკობდა პატარეებზე, რომლებიც დღესასწაულზე ისე იღალებიან, რომ ქუჩებში იძინებენ. აქ ჯენმა გადაწყვიტა, რომ მისი არჩეული ადგილი ხელ ახლათ დასაძინებლათ არ ეარგოდა, რადგანაც ადგილი შესაძლებელი იყო მაღალი კაცი ისევ დაბრუნებულიყო და თავისი დიდი ჯოხით გაელახა ის. დაღალული ბავშვი ისევ წამოდგა და გაუდგა გზას.

— აწი კიდეც დალამდება... რა უნდა ექნა!—სასოწარკვეთილებით უტრიალებდა მას თავში...—ღმერთო! ნეტაეი ახლა ტ-ბურცის დაეინახავდე! ან დეიდა მოდის, ან მადელონს... დეიდა პოლინას ნახვაკ-კი იამებოდა ამ წამს! დეიდა პოლინა-კი არა, სძაგელი რასტიც რომ შეხვედროდა, რასტი, რომელიც ყოველთვის ახელებდა და თმას სწვევდა, ისიც-კი გაახარებდა!

უეცრათ ვიღაცამ უკანიდან დომინო ჩამოსწია პატარა ლეკი ჯენს. შემკრთალმა ბავშმა მოიხედა... მის წინ იდგა ყვითელ დომინოიანი დიდი ბავში და პირდაპირ მიჩერებოდა მას თვალებში. ოქროსფერი ხუჭუჭი თმის ერთი კულული ჯენს დომინოს ქვეშიდან გამოსწეწოდა... დიდმა ბავშმა სტაცა ხელი ამ კულულს და სიცილით დაუყვირა ჯენს:

— აჩუ! აჩუ! აბა ჰე, გასწი, რაღას დგახარ! აჩუ ცხენო!

შეშინებული ჯენი ცდილობდა რამენაირათ ხელიდან დასხლტომოდა ლიდ ბავშს, მაგრამ ეს შეუძლებელი იყო, დიდ ბავშს მაგრათ ეჭირა ხელში მ-სი თმა და თან მხიარულათ ხარხარებდა. თვალ-ცრემლიანმა ჯენმა ხელწნა დაუწყო, გამოშვიო.

— ჯერ მოიცა, მასკა უნდა მოგხსნა! —უპასუხა სიცილით დიდმა ბავშმა.—მე მ-ნდ ენახო, როგორი სახე გაქვს!—და მან ხელი გამოაშვირა, რომ მასკა მოეგლიჯა ჯენისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა ლედი მთლათ აკახცახდა გულმოსულობისაგან.

— ხელი არ მახლო! არ გაბედო ხელის ხლება!—ხმა მაღლა შეჰკიეცა მან, გაიშალა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, თითონვე სტკიცა დიდ ბავშს სილა.

რასაკვირველია, ლედი ჯენისაგან ასე მამაცათ დაწყებული ბრძოლა მის საკეთილოთ არ გათავდებოდა, რადგანაც მისი მოწინააღმდეგე მასზე ბევრათ უფრო დიდი და უფრო ღონიერი იყო... ერთ წუთსაც არ გაუელია, რომ ეარდისფერი დომინო მთლათ ნაფხრეწებათ იქცა, ეარდისფერი მასკა შორს ქუჩაზე გადავარდა, და გრძელი და ხუჭუჭი, ოქროსფერი თმა ლამაზათ გადაეშალა ბავშს მხრებზე და ბეჭებზე... ის გულმოსული იდგა თავისი მტრის პირდაპირ, მისი პატარა, ნაზი სახე მთლათ ანთებულიყო, დიდი, ლურჯი თვალები საშინლათ უელვარებდენ...

სწორეთ ამ დროს, საბედნიეროთ, ლედი ჯენს მოულოდნელი მფარველი გაუჩნდა. ეიღაც კაცი მიეარდა მის ყვითელ დომინოიან მტერს და ერთ წამს გადასტყორცნა ის შიგ შუა ქუჩაში... ეს კაცი იყო ქერარი, პატარა ჯენის მოხუცი მეგობარი... და უთუოთ არც ერთ რაინდს არ მიუღია ისეთი აღტაცებული მადლობა ბველეშაპისაგან განთავისუფლებულ მშვენიერ მზეთუნახავისაგან, როგორიც მიიღო ქერარმა თავისი პატარა ლედისაგან, როგორიც ცხადათ იხატებოდა ბავშის დიდ, ლურჯ, ცრემლებით სავსე თვალებში... პირველ წამს მან სიტყვის თქმაც ვერ მოახერხა, ის მხოლოთ მიეარდა ქერარს, სტაცა თავისი პატარა, ნაზი ხელები მის დიდ, მაგარ, ძარღვებიან ხელს და მთელი თავისი არსებით მიეკრა ამ უბედურობისაგან მხსნელ ხელს.. მხოლოთ მისი ეარსკვლავებივით მოელვარე თვალები ლაპარაკობდენ იმაზე, რასაც გრძნობდა ამ დროს პატარა ბავშ, იმაზე, თუ რა ბედნიერი იყო ის ამ წამს... ქერარს არც ეპირველებოდა სიტყვები... მან მაშინვე წაიყვანა პატარა ქალი ახლობელ აფთიაქში, დააჯინა ის სკამზე, გაუსწორა გაწეწილი თმა და და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშვიდებელი სასმელი დაალევინა. როცა ჯენი გამოიბრუნდა, მისი პირველი სიტყვები იყო:

— ბატონო ქერარ, როგორ გაიგეთ, რომ მე ამ მდგომარეობაში ვიყავი?

— მე არაფერი არ ვიცოდი!—მიუგო ქერარმა. — შემთხვევით შეგხვედით. ვისეირნე და სახლში ვბრუნდებოდი. მივდიეარ ჩემთვის დამშვიდებით, მოვუხვიე სახელმწიფო ქუჩაზე... უცებ მესმის, რომ ვიღაცა ტირის... შევხედე—ეს ჩემი პატარა ლედია, ვიღაცა ყეთილი ეშმაკი-კი მას თმაში ჩაფრენია... მეც მივეცი სიცხე იმ საძაგელს! დიდ ხანს არ დავაეწყდები!—და ქერარმა ხელების ფშვნეტა დაიწყო, თან კმაყოფილებით მხიარულათ ჩაიცინა.—სწორეთ ბედი იყო, ასე დროზე რომ მოგისწარით!

როდესაც ქერარი და ჯენი ქუჩაში გამოვიდნენ, პატარა ქალმა, რომელსაც კიდევაც დაავიწყდა, რა უბედურათ გრძნობდა ნახევარი საათის წინ თავს, მხიარულათ უამბო თავის მოხუც მეგობარს მთელი თავისი თავგადასავალი. ჯერ არც-კი დაესრულებინა ლაპარაკი, რომ ქერარი ერთ სუფთა, პატარა სახლის წინ შეჩერდა, რომლის ფანჯრებშიაც ათასნაირი საჰმელები და ათასნაირი ტკბილეულობა იყო გამოფენილი.

— მე მგონია, რომ ჩემი პატარა ლედი ცოტა მშიერია! —ღიმილით მიუბრუნდა ის ჯენს.— ოგერ მეხუთე საათია... და მე მინდა, რომ სადილით გავუმასპინძლდე.

— ოჰ! ეს რა კარგი მოიგონეთ, ბატონო ქერარ! —აღტაცებით წამოიძახა პატარა ჯენმა.—მე ისე მშია, ისე მშია, რომ არც-კი ვიცოდი, როგორ მივახწევდი სახლამდის!

— მით უკეთესი!—კმაყოფილებით უთხრა ქერარმა.—აი, შეეიდეთ აქ... და თქვენ დარწმუნდებით, რომ მოხუცმა ქერარმა, ცეკვის გარდა, სადილების ამორჩევაც კარგი იცის!

როდესაც ძველ მოდაზე, მაგრამ კარგ ტანისამოსში გამოწყობილი მოხუცი კაცი შეეიდა ოთახში და თან შეიყვანა გაშლილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოქროსფერი ხუჭუჭი თმიანი მშვენიერი პატარა ქალი დაკუნწული, მაგრამ ლამაზათ შეკერილი კაბით, რომელიც ამტკიცებდა, რომ ბავში უბრალო დედ-მამის შვილი არ იყო—ყველა იქ მყოფების ყურადღება მათკენ მიექცა. ცეკვის მასწავლებელმა ხელ-ახლად იგრძნო დიდი ხნის დავიწყებული სიამაყე... მან მიუწია პატარა ქალს სტოლთან სკამი, დააჯინა ის ზედ, თითონაც ამაყათ დაჯდა, გადაშალა მსახურისაგან მოტანილი ქაღალდი და საქმელების არჩევას შეუდგა. ცოტა ხანს შემდეგ მან ამოიღო კარანდაში, ღიმილით მიიხედა თავის პატარა დამისკენ და მოწიწებით ჰკითხა:

— ახა, პატარა ლედი, მიბრძანეთ, რა გესიამოვნებათ, რა მოვატანინოთ სადილათ?

ლედი ჯენი დაფიქრდა, მოიღუშა, ქვედა ტუჩზე ზედა კბილები დაიჭირა... არც ისე ადვილია საქმელების ამორჩევა, მთელი სადილის მოთხოვნა! მაგრამ აი... უეცრათ მისმა თვალებმა სიხარულით იელვეს, მთელი სახე მშვენიერმა ღიმილმა გაანათა... მან მოიგონა, როგორი სადილი უნდა მოეთხოვა!

— მარიონი, ბატონო ქერარ! —გამოაცხადა მან.

— ეს ძალიან კარგი!—მიუგო ქერარმა.—მარიონი კარგი საქმელია... მაგრამ ჯერ სხვა რამე, უფრო ნოყიერი, უნდა მოვითხოვოთ; რამე სუფი, მერე თევზი წვენით... და ქათამი... პატარა წიწილი მწვანე მუხუდოთი... სალათაც, არა?

— მარიონი?—წყენით ჰკითხა ჯენმა და ლოყები მთლათ აუწითლდა აღელვებისაგან.

— მერე მარიონიც მოვითხოვოთ! ტორტის ნაჭერიც! ცოტა ყურძენიც!—ლაპარაკობდა ქერარი და თან გულმოდგინეთ წერდა ყველა ამას თავისი აკანკალებული ხელით.—აი, როგორი იქნება ჩვენი სადილი! —და მან სიხარულისაგან გაბრწყინვებული სახით გადასცა მსახურს დაწერილი ქაღალდი.

პატარა ლედიმ თავი დაუქნია. სანამ მსახური სადილს მოიტანდა, ის დაკვირვებით ათვალიერებდა მთელ ოთახს... მერე მისი დი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ლურჯი თვალები ქერარს მიეპყრენ და აღტაცებით შეჩერდენ მაზე...

— რა ლამაზი ხართ დღეს, ბატონო ქერარ!—ბოლოს გამოაცხადა მან.—იცით რას გეტყვით? ნურაოდეს, ნურაოდეს ნუღარ გაიკეთებთ აწი წინსაფარს!

— კარგი! აღარ გავიკეთებ! თუ პატარა ლედის არ სურს— არაოდეს აღარ გავიკეთებ!—მიუგო ქერარმა და მისი სახე ხელ-ახლა გაანათა კმაყოფილების ღიმილმა.—მოითმინეთ და... ეინ იცის! იქნება ერთ დროს მე ისეე დიდ-კაცად გადეიქცე, ისეთ დიდ-კაცად, როგორიც ეიყავი მაშინ, როცა პარიეში ცეცის გაკვეთილებს ეძლეოდა!

XVIII

ყველიერს შემდეგ.

ბაბინდდა. პეპსის, რომელიც სრულ მარტო იყო, ეს დღე ძალიან გრძლათ მოეჩვენა. ის წამდაუწუმ იყურებოდა ფანჯარაში და მოუთმენლათ ელოდა დეიდა მოდის და ბავშვების დაბრუნებას. ასე გეიან იყო, და ჯერ არც ერთი არ ჩნდა, თაგუნაც-კი არსად იყო! ეს მაინც რას იგეიანებდა ამდენ ხანს, ხომ კარგათ იცოდა, რომ მადელონი დღეს გეიანობამდის ეერ დაბრუნდებოდა, რატომ არ ფიქრობდა იმაზე, თუ ეინ გააკეთებდა სადილს! დილას აქეთ არაფერი ეჭამა პეპსის, ძალიან შიოდა, ცდაც მოწყინდა... ცისფერი ყანჩაც რაღაც დაღონდა, ეტყობოდა მასაც მოწყინდა ამდენი ცდა... ხან ფრთებს ააფთქრიალებდა ხოლმე, ხან გულმოსულათ დაუწყებდა იატაკს კორტნას თავისი გრძელი ნისკარტით...

პეპსი ცდილობდა დამშეიდებულიყო, მაგრამ ფიქრები მოსვენებას არ აძლეოდენ. ახლა ისიც გაახსენდა, ლედი ჯენს დილას აქეთ არაფერი უჭამია და უთუოთ ძალიან მო'მიედებოდაო... აქ თითონაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგრძნო გაძლიერებული შიმშილი, გადაწყვიტა, -რომ თუ სხვა არაკინ, თაგუნა მაინც უნდა მოსულიყო აქამდისო და კიდეე უფრო შეწუხდა და მოუვიდა გული... უცებ მან დაინახა, რომ თაგუნა გამწარებული მორბოდა შუა ქუჩაზე... 'მორიდანვე შენიშნა, რომ ძალიან შეშინებული და შეშფოთებული იყო...

— ოჰ, მის პიპ, მის პიპ!—სასოწარკვეთილებით შეჰყვირა თაგუნამ და ოთახში ქარიივით შემოიჭრა ლედა.—ქალბატონმა პეშუმ მეწინ-და-წინ გამომგზავნა, რომ შეგატყობინოთ... მის ლედი დაგეკარგა!

— როგორ თუ დაგეკარგათ!— ძლივს წამოიძახა პეპსიმ და მაშინვე მწარეთ აქვითინდა. - როგორ დაიკარგა, როდის, სად?

— იქ, კანალის ქუჩაზე... ეერსად ეერ ეიპოვეთ!

პეპსის თვალებმა გულმოსულათ იელვეს.

— მაშ მარტო მეგიტოვებით, არა?

— არა, ღმერთია მოწამე, მის პიპ... მაგრამ იმდენი ხალხი იყო... უცებ დაგეშორეს ერთმანეთს... მის ლედი ისეთი პატარაა, მისი ხელი უცაბედათ გამომისხლტა ხელიდან. . ისე ეცდილობდი, მაგრათ დამეკავებინა, ისე ეცდილობდი... მაგრამ, ღმერთია მოწამე, ეერაფერი გაეაწყვე...

— ტიბურცი სადღა იყო? იმანაც მიატოვა?

— ყველა ერთათ ეიყაეით, მაგრამ ეერაფერი გაეაწყვეთ, მის პიპ! იმდენი ხალხი იყო, იმდენი, ღმერთია მოწამე!

— თაგუნა!—სასტიკათ შეაჩერა პეპსიმ.—გეუბნები, თუ ახლავე არ წახვალ და არ იპოვი ლედი ჯენს, მე შენ სამუდამოთ შეგიძულებ! ახლოსაც აღარ წაგიკარებ! გაგაგდებ ჩვენგან, გესმის?

— ყველა ეძებენ... არაფერი არ მოუვა მის ლედის! უთუოთ ეიპოვეთ!

— წადი, ახლავე წადი და უიმისოთ აღარ დაბრუნდე!—დაუყვირა პეპსიმ და მწუხარეთ მიესვენა სკამს.—საწყალი პატარა ჯენი! ამ ღამეში! ქუჩაში, მარტოთ მარტო! მე-კი აქ ვზივარ, და არაფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რით არ შემიძლია ეუშველო! რას მომჩერებიხარ?—ისევ წყრომით მიუბრუნდა ის თაგუნას.—წადი, გასწი ახლავე და სადაც უნდა იყოს, ნახე და მოიყვანე ლედი ჯენი!

— ახლავე, ახლავე, მის პიპ! წავალ, ეიპოვი და მოვიყვან!—და თაგუნა შურდულივით გავარდა ოთახიდან.

მარტო რომ დარჩა, პეპსი კიდევ უფრო დაღონდა. ის მწუხარეთ გაჰყურებდა დაბნელებულ ქუჩას და მწარეთ ტიროდა... სულ მარტოთ მარტო იყო საწყალი პეპსი ბნელ ოთახში. . მხოლოთ ცისფერი ყანჩა გაფართხალდებოდა ხან-და-ხან კუთხეში და ისიც მწუხარეთ დაიწრიპინებდა ხოლმე: „ტონ, ტონ"-ო.

უცებ პეპსის პატარა ეტლის ხმაურობა მოესმა... გული მხიარულათ აუძგერდა, ეს უთუოთ ლედი ჯენი მოჰყავთო... მაგრამ თავისი საყვარელი პატარა მეგობრის ნაზი ხმის მაგიერათ პეპსიმ გაიგონა ბიძია პეშუს ხმა, ერთ წამს შემდეგ-კი ოთახში დეიდა მოდი შემოვიდა.

— დაბრუნდა?—აშფოთებით იკითხა მან.

— ღმერთო!—სასოწარკვეთილებით წამოიძახა პეპსიმ.—მაშ ის თქვენთან არ არის?—და ხელ-ახლავ მწარეთ აქვითინდა.

— ნუ ტირი, გენაცვალე, გაჩუმდი!—მოეფერა მას დეიდა მოდი.—ეიპოვეთ, უსათუოთ დღესვე ეიპოვეთ მას! მე და პეშუ ახლავე პოლიციაში წავალთ... ბავშები სახლში წაიყვანე, დაებინავე, და ახლა მთელი ჩემი ქკუა და გონება ჯენის პოვნაშია... უთუოთ ის ახლა პოლიციაშია.

— მე ეგრძნობდი ამას!—ქვითინით უპასუხა პეპსიმ.—ისე მეშინოდა, ისე მეშინოდა... ისე არ მინდოდა გამომეშვა...

— მე-კი ისეთი იმედი მქონდა ტიბურცის!—ამოიოხრა დეიდა მოდიმ.—საწყალი ტიბურცი, ვერ წარმოიდგენ, რა შეწუხებულია თითონაც! ერთი წუთით გაუშვია მისი ხელი—და იმ წამსვე დაუშორებია ხალხს ისინი ერთმანეთისთვის... ის საძაგელი თაგუნა რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ წამსვე არ გაქცეოდათ, არაფერიც არ მოხდებოდა! ის-კი მაშინვე გამქრალა, როგორც ბავშები ეტლს მოცილებიან!

— მეც ვიცოდი, რომ აგრე იზამდა!—გულმოსულათ წამოიძახა პეპსიმ.—მობრძანდეს ერთი აქ! კი მივცემ იმას სიცხეს!

— წამოდი, წავიდეთ!—მოისმა ამ დროს კარებიდან პეშუს ხმა.

— ბიძია, ჩემო ბიძია, მიპოვეთ, უსათუოთ მიპოვეთ ჩემი პატარა ჯენი! —შეეეედრა ბიძას პეპსი.

— უსათუოთ გიპოვ.თ, გენაცვალე!—დაამშვიდა დეიდა მოდიმ.—ამისთანა დღეებში ბავშები ხშირათ იკარგებიან ხოლმე. დარწმუნებული ვარ, ახლა პოლიციაში ერთი ათი ბავში მაინც იჯდომება... მოიკითხვენ დედ-მამები და წაიყვანებენ თავ-თავის სახლში...

ამ დროს ქუჩიდან რაღაცა ლაპარაკი მოისმა.

— ლედი ჯენი!—სიხარულით წამოიძახა პეპსიმ.—მისი ხმაა! მართლაც, კარებიდან შემოისმა ბავშის ნაზი, წკრიალა ხმა. იმავე წამს ოთახში შემოჰქროლდა თაგუნა და სიხარულით დაიძახა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა:

— აი, მის პაპ, აი, მის ლედი! ვიპოვე!

ამავე დროს ოთახში ქერარი შემოვიდა და პატარა ლედი ჯენი შემოიყვანა. ბავში აღტაცებით ჩაეკონა გულში თავის მეგობარს.

— პეპსი, პეპსი, იცით, მე დავიკარგე!—მხიარულათ უამბობდა ის.—სულ დავიკარგე... და ბატონმა ქერარმა მიპოვა. დიდ ბავშს უნდოდა ჩემთვის მასპა მოეგლიჯა. . მე სილა გავარტყი... მერე აღარ ვიცოდი, რა უნდა მექნა... უცებ ბატონი ქერარი მოვიდა... ხელი ჭკრა... და დიდი ბავში შუა ქუჩაზე გაიწარცხა... ხომ, ბატონო ქერარ, ხომ ასე იყო?

— მადლობა ღმერთს, მადლობა ღმერთს!— მხიარულათ იმეორებდა დეიდა მოდი და სიყვარულით ჰკოცნიდა პატარა ჯენს, პეშუ კი ამ დროს-მოხუც ქერარის ნაამბობს ისმენდა.

— მერე მე და ბატონმა ქერარმა სადილი ეჭამეთ! —აღტაცე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბით განაგრძობდა ლედი ჯენი. - რა გემრიელი, რა მშვენიერი სადილი იყო! მარიონი, ტორტი და ყურძენი!

— წიწილი, პატარა ლედი, წიწილი და სალათა დაგვიწყდათ?— წყენით ჰკითხა ქერარმა, რომელსაც არ ეამა, რომ მის სადილზე ასე აგდებულათ ლაპარაკობდენ.

— ჰო, ჰო, წიწილიც იყო, და თევზიც, სუფიც... და მუხუდო, ისეთი გემრიელი, ტკბილი მუხუდო!—გულმოდგინეთ მოჰყვა ჩამოთვლას ლედი ჯენი.

— არა, არა, პატარა ლედი!—ისევ შეაწყვეტინა ქერარმა და აღელვებ-თ ხელებიც-კი გაშალა. თქვენ გადაურიეთ! ჯერ სუფი იყო, მერე თევზი და მერე წიწილი სალათით. ბატონო პეშუ, პატარა ლედის შეეშალა... და თქვენ არ უნდა იფიქროთ, რომ მე ვერ მოვახერხებდი ნამდვილი კარგი სადილის მოთხოვნას...

— არა, ბატონო ქერარ!—ღიმილით მიუგო პეშუმ.—მე სრული დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ თვით ქალაქის თავის შესაფერ სადილის მოთხოვნასაც-კი მოახერხებდით!

— მადლობას მოგახსენებთ, ძალიან, ძალიან გმადლობთ!—სიხარულით წაიბუტბუტა მოხუცმა ცეკვის მასწავლებელმა, კოხტათ დაუკრა ყველას თავი და გასწია თავის დუქნისაკენ, რომ იქ თავისუფლათ ეოცნება დღევანდელ გამარჯვებაზე.

ედ. წერეთელი.

(შემდეგი იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამაცი ბედურები

ორი ბედურა ბუდის გასაკეთებლათ კაი და მარჯვე ადგილს დაეძებდენ. მათი შარშანდელი ბუდე ხეხეებმა აოხრეს. ადგილი ძნელი ამოსარჩევი გაუდათ. ამ ადგილს ბევრი ხალხია, ხმაურობა იქნებაო, იქ სულ არაფერ არიო. ხან მზეს შეეძლო მათი შეწუხება, ხან მეტ ჩრდილს. გაუძნელდათ ადგილის ამორჩევა. შარშან რა კარგათ იყვენ დაბინავებული, მკელი თავლის სახურავის ქვეშ მოიწყვეს ბუდე. აუარება ჩალა-ბულა, ხავსი, ხის ტოტები, თივა და სხვა ფალასს-ფულასები იშოვეს და ამაებით გააკეთეს ბუდე, მერე ქათმის და ბატის ბუმბული შიგ ჩაგზეს. რა მშვენიერი ბუდე გამოუვიდათ!

სეზრდოს შოვნაც ადვილი იყო: ბუზებს, ჭიებს, ბატლებს ბლომათ შეექცეოდენ.

როდესაც თავლას ანგრევდენ, მუშებმა ამ საბრალო ბედურების ბუდეც ჩამოშალეს და ჩვენი ჩიტუნიები უსახლკაროთ დარჩენ. დრო-კი იყო ბუდის გაკეთებისა!

— რა გვეშველება, ჩვენ უბედურებს? დაიწრიპინეს ბედურებმა—რა ქნათ? სად ვიშოვნით იმისთანა კაი ად-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვილს? და ბედურებმა ბებნა დაიწყეს ბადში, ეზოში, ეზოს გარეთ. უცბათ ალუბლის (ქვიშნის) ხეზე, რომელსაც მარცვალი კიდევ ესხა, ხალათ ჩაცმული ჩალის საფრთხული დაინახეს.

ბედურებმა შეაჩერეს თვალი. ჯერ ფრთხილათ, დიდი შიშით შორიდან უყურებდენ.

— ეს რა ბობოლაა? კაცია? ვინ უნდა იყოს? იქნება კაციც არ იყოს? ჭლურტულებდენ ისინი.

ბედურა, რომელიც უფრო მამაცი იყო, ახლოს მიფრინდა, სახელოს ნისკარტი ჩაჭერა და ისევ განზე გადგა. ხედავს, რომ საფრთხულია — არ იძვრის. გამხნევდენ ჩიტუნები და ახლოს მიეიდენ. ხე დაათვალიერეს. ალუბალი მშვენივრათ დამწიფებული იყო.

— ეგსუს, ამ ხეს რომ გამოყუღრული ჭქონდეს რა კარგი ბუდე გაკეთდებოდა!..

უცბათ ერთმა მათგანმა ხალათს ჯიბე დაუსახა. მიფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რინდა ასლოს და შიგ ნისკარტი ჩაჭეო. რა მშვენიერი ადგილი გამოდგა! ჯიბე ძალიან დრმა არ იყო, ასლი ბუდის გასაკეთებელი ადგილი იყო.

ბედურები სწრაფათ შეუდგენ მუშაობას და ხალათის ჯიბეში ბუდე ძალე გააკეთეს.

და ამ ბუდეში ჩვენმა ბედურებმა გამოჩეკეს ბარტუები.

ეოველ დღე ჭიების და ბატლების ჭამას შემდეგ ჰირს ჩაიოკლოჩინებდენ გემრიელი ალუბლით.

ბატრონს ძალიან გაუკვირდა, როდესაც შემოდგომაზე ხიდან ხალათი ჩამოსხნა, და მის ჯიბეში ბედურას ბუდე ნახა.

ტასო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ᲔᲔᲕᲔ

ᲒᲚᲔᲮᲗᲐ ᲒᲐᲜᲛᲐᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲚᲔᲒᲔᲚᲘ.

ოგორც ჩვენში, ისე მთელს რუსეთში დიდ ხანს იყო ბატონ-ყმობა.

გლეხები თავად-აზნაურების ანუ ბატონების ყმები იყვენ, ბატონები მათ ბევრჯერ უსამართლოთ ეპყრობოდენ: ესენი თავისთვის ამუშავებდენ, ბეგარას ახდევინებდენ და ოჯახში გაჰყავდათ მოსამსახურეთ, სცემდენ კიდეც და გაჩუქება და გაყიდვაც შეეძლოთ. ამას გარდა გლეხებს უფლება არა ჰქონდათ, თავიანთი შვილები სკოლაში მიეცათ და გამოეზარდათ.

ხხვა უფრო განათლებულ ქვეყნებში ბატონ-ყმობა დიდი ხანია იყო მოსპობილი და ბოლოს ბევრმა რუსეთშიაც შეიგნო, რომ გლეხების ასეთი ყოფა და ტანჯვა დიდი უსამართლობა იყო. ამიტომაც ზოგიერთმა რუსეთის იმპერატორებმა მოინდომეს მათი განთავისუფლება, მაგრამ ვერ მოახერხეს. გლეხები მაინც იმედს არ ჰკარგავდენ, რომ გამოჩნდებოდა ისეთი გულ-კეთილი და ღვთისნიერი ხელმწიფე, რომელიც შეიძლებდა ამ დიად საქმის შესრულებას, და მათი იმედი მართლაც არ გამტყუნდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ ხელმწიფეს მიეცა პირველი ვაჟი, რომელსაც უწოდეს სახელი ალექსანდრე. ეს ყმაწვილი ძლიერ ნიჭიერი და გულკეთილი ბავშვი გამოდგა. რადგან იგი მამის სიკვდილის შემდეგ რუსეთის მეფეთ უნდა გამხდარიყო, ამიტომ მამამ, როცა ალექსანდრეს სწავლების დრო მოვიდა, საუკეთესო მასწავლებლები ამოურჩია თავის სიყვარულ ვაჟს—მემკვიდრეს.

მასწავლებლები ბეჯითათ ასწავლიდენ მეფის გულკეთილ შვილს და ხშირათ ეუბნებოდენ, რომ ყოველი კაცი, თავადი იყოს იგი, აზნაური, გინდ გლეხი ადამიანიაო და ერთნაირათ უნდა გვიყვარდეს იგი, როგორც საკუთარი ძმაო. ამიტომ სამართალი მოითხოვეს, რომ ბატონ-ყმობა მოისპოს ჩვენში, როგორც სხვაგანაო. პატარა ალექსანდრემაც გულში დაიმარხა თავისი მასწავლებლების დარიგება და როცა ხელმწიფეთ დადგა 1855 წელში, გადაწყვეტა ბატონ-ყმობის მოსპობა მთელ რუსეთის სახელმწიფოში.

მაგრამ ეს ადვილი საქმე არ იყო და ამიტომ შეუდგა მომზადებას. მან ამოირჩია სწავლული და გონიერი კაცები და მათ უბრძანა, შეედგინათ ისეთი კანონები ბატონ-ყმობის მოსპობისთვის, რომ არც წვადი დამწვარიყო და არც შამფური, ესე იგი, არც ბატონები დაჩაგრულიყვენ ნამეტნავათ და გლეხებსაც თავისუფლება მინიჭებოდათ. ხუთი წელიწადი მეტი ამ მომზადებას მოუნდენ; ამავე დროს მთელ რუსეთში გავრცელდა ხმა, რომ ალექსანდრე ხელმწიფე ბატონ-ყმობის მოსპობას აპირებსო; ხალხმა ყური შეაჩვია ამ ამბავს და ისე აღარ ეუცხოებოდა, როგორც წინეთ.

ბოლოს 1861 წელში ხელმწიფემ ბძანა, დაებარებიათ 19 თებერვლისთვის პეტერბურგში მთელი გუბერნიის გლეხობა და დიდი სადილი დამზადებიათ ხალხისთვის. მისი ბძანება აღასრულეს. 19 თებერვალს თვითონ ხელმწიფის დღეობა იყო. დილით იმპერატორი გამოეცხადა სამეფო ტანისამოსში და სობოროში წაბძანდა. იქ მას მიტროპოლიტი და მთელი კრებული ელოდა. ხელმწიფემ წირვა მოისმინა და პარაკლისი გადიხადეს. შემდეგ ხელმწიფე წაბძანდა თა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისი ეზირებითა და დიდებულებით მოედანზე, სადაც აუარებელი ხალხი და გლეხობა იყო თავმოყრილი. ხელმწიფე რომ დაინახეს, ყველამ ქუდები მოიხადა. ხელმწიფე აბძანდა მომზადებულ მაღალ ადგილზე და ბძანა, წაეკითხათ მისი მანიფესტი, რომელშიაც გამოცხადებული იყო, რომ ამიერიდან ბატონ-ყმობა ისპობა მთელ რუსეთშიო. ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება ამ სასიხარულო ამბავს, მუხლი მოიყარა და პირჯვარი გამოისახა. ყველანი მოწყალე ხელმწიფეს ლოცავდენ და ადიდებდენ.

შემდეგ ამისა გაიმართა სადილი და ლხინი, როგორც მოედანზე, ისე სასახლეში. სადილის დროს ხელმწიფე კვლავ მობძანდა მოედანზე, ჩამოუარა სუფრებზე ჩამწკრივებულ გლეხობას და მიულოცა განთავისუფლება. ხალხმა დაგრიალა „ეაშა“ და ისე მიეგება მის სადღეგრძელოს.

ბევრი ხანი აღარ გასულა მას აქეთ, რომ რუსეთის ყველა ქალაქებში გამოაცხადეს ალექსანდრე ხელმწიფის მანიფესტი ბატონ-ყმობის მოსპობის შესახებ. ხალხი ყველგან დიდი სიხარულით ეგებებოდა თავისი საყვარელი იმპერატორის განკარგულებას. ასე მოსპო ალექსანდრე ხელმწიფემ მთელ რუსეთში ბატონ-ყმობა და ოცი მილიონი მეტი გლეხი გაანთავისუფლა.

გ. წულუკიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვის საუკუნის გავშეგი.

თარგმნა.

IX

მოხუცი მოკას ნაამბობი.

ამისაგან გაეგონა ედოს, თუ როგორ ცხოვრობდა უწინ მათ ქვეყანაში ხალხი; მაგრამ სხვა ქვეყნებისა-კი არა იცოდა-რა, თუ მოკას არ ეამბნა. მოკას ბევრი რამ ენახა, სხვა-და-სხვა ქვეყნები მოეელო და იქაური ხალხისაგან ბევრი რამ გაეგონა თავიანთ წინაპრების ცხოვრებაზე და ჩვეულებებზე; მოკას ნაამბობიდან ედომ ბევრი რამ კარგი შეისწავლა. უწინ როდესაც ხალხმა წერა-კითხვა არ იცოდა, მოხუცებულები ყმაწვილებს ზეპირათ გადასცემდენ ხოლმე წარსულის ამბებს და შესანიშნავ შემთხვევებს, როგორებიც-კი ახსოვდათ. ყმაწვილებიც მოხუცებულებაში თავიანთ შვილებს და შვილიშვილებს უამბობდენ. ამ გვარ ამბებს — „ზეპირ-გადმოცემას“ ეძახდენ.

ედომ და მუხამ მარტო თავისი ქვეყნის ამბები იცოდენ, იმათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავისდღეში არ გაეგონათ, რომ დედამიწაზე არის ისეთი ადგილი, სადაც ქვესკნელიდან ცეცხლი ამოდის. მღვიმეში ხომ გაუქრობლათ ცეცხლი ენთოთ. ისინი ყოველთვის ფიჩხებს აყრიდენ, რომ არ გამქრალიყო, და თუ ვინიცობაა ჩაქრებოდა და ნაკეერჩალი დანაცრდებოდა, ერთ მაგარ ხის პატარა ჯოხს აიღებდენ, რბილი ხის ნაჭერს ამოფულერიდენ, შიგ ჯოხს ჩადებდენ და იმდენხანს ატრიალებდენ, მანამ ბოლი და ალი არ ამოვარდებოდა. თუ გამხმარი ხავსი შეხვდებოდათ, კაჟს დაკეესებდენ და ცეცხლს ისე გაჩენდენ. მოკას ნაამბობიდან შეიტყეს, რომ ზოგიერთ ქვეყნებში დედამიწიდან ცეცხლი ამოვარდება ხოლმე და მდულარე ცხელ წყალს ამოხეთქს.

მოკამ აგრეთვე უამბო, დიდიხანი არ არის, რაც ჩვენი მამები და პაპები ამ ქვეყანაში გადმოსახლდენო. უწინ ისინი მდინარის და ზღვის პირათ ცხოვრობდენ და თევზით, კიბოთი და ხამწკათი იკვებებოდენო. იქ იმათ საჭმელი ახლოსა ჰქონდათ და გარეული მხეცებისა არ ეშინოდათო. მაგრამ იმათშიაც გამოჩნდენ ისეთები, რომლებმაც ირჩიეს ტყეში მხეცებზე ნადირობა და ზღვის ნაპირებიდან მღვიმეებში გადმოსახლდენო. ესენი იყვენ თქვენი წინაპრებიო.

წყლის ნაპირის მცხოვრებნი, როგორც თითონაც ამბობენ— განაგრძნობდა მოკა —დიდიხანია იქ ცხოვრობენ, ეს იქიდანაც ჩანს, რომ იმათ მახლობლათ ბევრი ლოკოკინები, თევზის ძვლები და ფხა ჰყრიაო. ცოტა ხანში ამდენი ნაგავი არ მოგროვდებოდაო. იმათ მოხუცებულებისაგან გაუგონიათ, რომ უწინ აქ თურმე ძალიან დიდრონი მხეცები და მცურავები ცხოვრობდენ, წყალში დიდრონი გველები, უზარ-მაზარი მაღალ-ყელიანი და გველის თავიანი მხეცები, ადამიანზე უფრო დიდი ფრინველები. მოკა ამბობდა, ჩემის თვალით მინახავს ამ უზარ-მაზარ წყლის მხეცების ძვლები და სრული დარწმუნებული ვარ, მეთევზეები მართალს ამბობენ, რომ იმათ წინაპრებს თუ ცოცხალი არა იმ პირუტყვების ძვლები მაინც უნახამთო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ მხეცების მკვდარი ლეში გაყინულ წყალში, უეცველია, ძალიან დიდხანს ინახებოდა გაუხრწნელათ და მაშინდელ მეთევზეების ნაამბობიდან ჩანს, რომ იყო დრო როდესაც ზამთარ-ზაუხულ წყალი სულ გაყინული იყო. პირუტყვმა ამ სიცივეს ალბათ ვერ გაუძლო, ზოგი იქვე დაიხოცა, ზოგი-კი თბილ ქვეყნების მდინარეში და ზღვებში გადასახლდა. ადამიანიც, რადგან უიმათოთ ვერ გაძლებდა, გადმოსახლდა იქ, საცა იმისთანა ყინვა არ იყო და ირმისა და სხვათა ხორცით ირჩენდა თავს. შემდეგ როცა აქაც ჩამოთბა, ყინული დადნა, მხეცები ისევ აქეთ ჩრდილოეთისკენ წამოვიდენ და ადამიანიც თან გამოჰყვა. და თუმცა ზოგიერთი მხეცები ისევ შორს ყინულის ზღვისკენ გადასახლდენ, მაგრამ ადამიანი ისევ აქ (ერჩა და აქნობამდინ მეთევზეობას მისდევს.

მოკა კიდევ ბევრს ამბებს უამბობდა ველ-ტყეებზე, ჯუჯებზე, საშიშარ გარეულ მხეცებზე, იმათ ნადირობაზე. და ედოს უფრო და უფრო ეღვიძებოდა მოგზაურობის და მხეცებზე ნადირობის სურვილი.

X

ედოს გამოგონება.

ვაიდა რამდენიმე წელიწადი, ედო მეოცე წელიწადში ჩადგა, მაგრამ ის მაინც მღვიმეს ახლო ნადირობდა და თავის დედ-მამასთან ცხოვრობდა იმ ოცნებით, რომ ოდესმე განთქმული მონადირე გახდებოდა. ერთხელ, როცა სახლში დაბრუნდა, ნახა, რომ მისი და და ძმა ერთათ თამაშობდენ. რომ კარგათ გაერთო თავისი პატარა და, ძმა აიღებდა წმინდა ხის ტოტს, მოღუნავდა და ტოტი წკრიალით შორს ეარდებოდა პატარა დისაკენ, რომელიც გულიანათ იცინოდა. ბოლოს პატარა ძმამ ტოტის ორივე წვერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

თასმით ერთმანეთს მიაბა, ამ თასმას სიმეით წკრიალი გაჰქონდა. პატარა ბაეშმა ეს არ იკმარა, აიღო პატარა წვეტიანი წკნელი, თასმას მიადო, გასწია, ხელიდან გაუშვა, წკნელი შორს გაეარდა და პატარა დას ხელში ჩაერჭო. ბაეშმა საშინლათ შეჰკიელა. ედოს თაეისი ძმისთვის უნდა ე�ma, მაგრამ ის უცბათ ტყეში გაიქცა და სათამაშოს თაეი დანება. ედოს უნდოდა, შეეტყო, თუ ვინ იყო დამნაშაეე, ამიტომ დაუძახა ძმას და შეჰპირდა ხელს არ გახლებ ოღონდ მითხარი, როგორ იყო საქმეო. ბაეში დაბრუნდა და უჩვენა ედოს, როგორ მიადო წკნელი თასმას, რამდენიმე ნაბიჯი უკან გადადგა, დაუმიზნა ედოს და ესროლა, იმასაც ამ წკნელის წვეტი ხელში შეერჭო და კანი გაუფხაჭნა.

ედო ამ სათამაშოს დააკვირდა:—ამისთანა პატარა ჯოხი არაეის არას აენებს, მაგრამ რა გამოეა რომ უფრო დიდი გაეაკეთოო? არშინ ნახევარი სიგრძე და თითის სისხო ტოტი მოტეხა, ორი წვერი მოღუნა და თასმა მოაბა. აიღო ერთი არშინის სიგრძე ჯოხი, თასმას მიადო, თუმცა დიდხანს ვერ მოეხერხებინა, მაგრამ ბეერი ცდის

შემდეგ მოაწყო და ხეს დაუმიზნა. ჯოხი ხეს კარგა ღრმათ ჩაერჭო.

ედოს ძალიან უხაროდა, რადგან დარწმუნებული იყო, რომ მეომრისთვის და მონადირესთვის ახალ იარაღს გამოიგონებდა, და საჩქაროთ მოკასთან გაიქცა. მოკა ამ გვარ ბალღების ახალ გამოგონებას ეჭვიანის თვალით უყურებდა. მაგრამ ამ ხანათ-კი გულ-მოდგინეთ ყური დაუგდო და გაჰყვა ედოს, რომ თაეის თვალით ენახა, თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ძალა აქვს ამ იარაღს. ედო კიდევ ბევრს ეწვალა, რომ ნიშანში მოერტყმია და როცა ესროლა, თუმცა ჯოხს ჩლუნგი წვერი ჰქონდა, მაინც ხეს ჩაერჭო. მოკამ ედო გაგზავნა და ქვის წვეტიანი შუბი გამოატანინა, თასმაზე კარგათ მოაწყობინა და გაასროლინა; შუბი ისეთი ძალით გაექანა ხისაკენ და შიგ ისე მაგრა ჩაერჭო, რომ ამოძრობა გაუძნელდათ და შუბს ნახევარი წვერიც მოტყდა. მოკამ მეორე შუბი გამოატანინა და ისე გამართა, რომ თასმას უფრო მარჯვედ და მაგრათ მიჰკეროდა, უფრო სწორე ხე ამოარჩია და ზედ პატარათ ამოსჭრა, რომ შუბის წვერი არ გატეხილიყო და სწორეთ წასულიყო, თასმის მაგიერ გამხმარი ძარღვი გაბა, რომ უფრო მაგარი და ადვილი მოსალუნაი ყოფილიყო, ასე რომ ბავშური სათამაშოდან გამოვიდა სასარგებლო ახალი იარაღი—შვილდი და ისარი, რომელიც მაშინ არ არსებობდა.

ედომ და მოკამ არაფის არ გამოუცხადეს თავისი გამოგონილი იარაღის ამბავი, რადგან ედოს უნდოდა, ჯერ თითონ გამოეცადა. გააკეთა კარგი მაგარი შვილდი, თან მარტო ქვის დანა წაიღო და წავიდა დიდრონ მხეცზე სანადიროთ. ცოტა ხანს შემდეგ დიდ მინდორზე მოვიდა ირმის მთელი ჯგუფი. ედო მიეპარა ჩუმათ ამ ჯგუფს, შედგა და ესროლა. ირმები აქეთ-იქით გაიფანტენ, დარჩა მარტო ერთი, რომელსაც ისარი მოხვდა. ედომ დიდის სიხარულით მიიტანა სახლში ნადირი, როგორც ახალი გამოგონილი იარაღის სადღესასწაულო საჩუქარი.

XI

მამონტის დაჭერა.

ედმოდგომის მიწურული იყო. დედამიწა თოვლით იყო მოფენილი, როდესაც ედოს მამასთან აქლოშინებული მოვარდა ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეზობელთაგანი; ეტყობოდა, საყურადღებო ამბავი შეატყობინა, რადგანაც ედომ თავის იარაღს მოაგლო ხელი და მეთევზეებთან წავიდა. ეს საყურადღებო ამბავი თურმე ის იყო, რომ იქ ახლო-მახლო მამონტი გამოჩენილიყო. მამონტი ძალიან იშვიათათ შედიოდა ისეთ ტყეში, სადაც ნადირობა შეიძლებოდა. ეს საკვირველი ამბავი ყველას შეატყობინეს. მამონტის ხორცით ყველა გაძღებოდა და სახლში წასაღებათაც დარჩებოდათ. ედომ ნახევარ საათში მთელი მეთევზეები შეჰკრიბა და სახლში მოიყვანა; იქ ასამდინ კაცი იყო თავმოყრილი და ბაასობდენ იმაზე, თუ როგორ მოემწყვდიათ მამონტი ღელეში და გზა შეეკრათ, რომ არსად გაქცეოდათ. ედო და მუხა ყველაზე უფრო მეტს ლაპარაკობდენ და აღელვებული იყვენ, რადგან ისინი დიდრონ მხეცებზე ნადირობას პირველათ ეპირებოდენ. თუმცა ას ორმოც-და-ათამდე მონადირე იყო შეგროვილი, მაკრამ იმდენათ ძნელი და საშიშარი საქმე მოელოდათ, რომ ასე ადვილათ და დაუფიქრებლათ ვერ მოჰკიდებდენ ხელს. მამონტი ძალიან საშიშარი, ღონიერი, ახლანდელ სპილოზე ბევრათ უდიდესი მხეცი იყო; იმას არაფრისა არ ეშინოდა, არც ხალხის, რაც უნდა ბევრი ყოფილიყო. თავის ხორთუმს წაავლებდა ადამიანს და ისე ძლიერ მიანარცხებდა ხეს ან ქვას, რომ სულს გაანთხევინებდა. ამ უზარმაზარ მხეცს ცეცხლისა ძალიან ეშინოდა; როგორც კი დაინახამდა, შორს მირბოდა. გამოქვაბულის ხალხმა ეს კარგათ იცოდა და ცეცხლის საშუალებით უნდოდა, მამონტი იქითკენ გაეგდო, საცა ღრე და ორმო იყო.

ფიქვის ძირები და ტოტები მოაგროვეს, დიდრონ კონებათ შეჰკრეს და მაშხალებივით ხელში დაიჭირეს. როდესაც მზადება გათავდა, მთელი ეს ჯარი გზას გაუდგა. წინ გაგზავნილმა შიკრიკებმა შეატყობინეს, მამონტის ჯოგი თორმეტი სულისაგან შესდგება და იმათ მეთაურათ ერთი უშველებელი ხვადი მამონტი ყავთო. ისინი ჯაგნარის მახლობლათა სძოვენ და იქვე ახლოს დალმართია, რომელიც ღელისკენ მიდისო. ეს დალმართი გაყინული იყო; იქ რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოემწყვდიათ, ყველა ვერ გაბედავდა ამ გაყინულ დალმართზე გაქცევას და ერთი მაინც გახდებოდა მონადირეების მსხვერპლი. მთელი ერთი ვერსი გარს უნდა შემოეელოთ. მღვიმის მონადირეებმა კარგათ იცოდენ ფეხაკრეფით მიპარვა. ახლაც ამოდენა ხალხი ისე მიდიოდა, რომ ფოთლის შრიალიც არ ისმოდა. დალმართის ნაპირას ტყესთან ამწკვანებული ჭალა მოჩანდა; იმ ჭალაში მამონტები სძოვდენ. მონადირეებმა ყველა დაინახეს უზარმაზარი ბელადით, რომელიც ჭალისაკენ მიდიოდა; მაშინათვე ტყეში წამოწვენ და ნიშანს ელოდენ. მალე ანიშნეს და ყველა ანთებული კონებით ზეზე წამოხტა. მთელი ჯაგნარის გარშემო ცეცხლი მოჩანდა; მამონტები ამ ცეცხლის დანახვაზე შეკრთენ და შესაზარავი ღრიალი შექნეს. ცეცხლი ჭალას მიუახლოვდა. ხმაურობისა და ცეცხლისაგან შეშინებულმა მამონტებმა ღელეს მიაშურეს და ღრე რომ დაინახეს, ისევ უკან გამობრუნდენ; ისე გაქანებული მირბოდენ, რომ წინ ვერაფერს ხედავდენ. ჯერ ერთ მხარეს ეცენ, მერე მეორეს, უნდოდათ, ცეცხლი აეშორებინათ, მაგრამ ერთი იმათგანი, რომელიც შუბით დაჭრეს მონადირეებმა, ისე გარეტიანებული იყო შიშისაგან, რომ მონადირეების გუნდი გააპო, სხვებიც იმას გაჰყვენ და თავს უშველეს ბელადის გარდა, რომელიც სხვებს უკან ჩამორჩა. ის გაბრაზებული ხან იქით და ხან აქეთ ეცემოდა და საშინლათ ღრიალებდა, მონადირეები მჭიდროთ შეერთდენ და ცეცხლით უახლოვდებოდენ მამონტს. მამონტი ტყიდან გამოვიდა და გაუბედავათ იყურებოდა იქით-აქეთ. საშინელი ორი დიდრონი თეთრი ეშვი, უშველებელი შავი სხეულიდან გამოიჭერიტებოდა. იმისი წერილი ბაზიო სავსე თვალები ცეცხლივით ბრწყინავდენ. ხშირათ ის ხორთუმს ზევით ასწევდა, და დაიღრიალებდა; ეტყობოდა, თავის ჯოგს საშველათ უძახოდა. მონადირეები თან-და-თან უახლოვდებოდენ. როდესაც შუბი ხორთუმში ატაკეს, ის ღრიალით ჭალაში შეეარდა. მონადირეები უკან დაედევნენ, ნადირობით გატაცებულთ შიშიც კი დავიწყდათ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი ახალგაზდა თამამი ყმაწვილი ახლოს მიეიდა და ისარი უნდა ეკრა. მამონტი მიუბრუნდა, რა დაინახა ეს უსუსური იმასთან შედარებით სულდგმული, ხორთუმი სტაცა და რამდენიმე ნაბიჯზე გადატყორცნა. საცოდავი ხეს დ:ეტაკა და იქვე სული გაძვრა. ამ დროს ცეცხლი თან-და-თან უახლოვდებოდა, რამდენიმე ისარი იმას სქელ კანში შეესო. მხეცი ღელისაკენ მიბრუნდა, დაღმართში ფეხი ყინულზე აუსხლტა, ღრეში გადავარდა, დაიმტვრა და ბოლო მოეღო.

XII

ნ ა დ ი რ ო ბ ა.

ამამონტთან ნადირობის ამგვარი დაბოლოება დიდი გამარჯ.ება იყო მთელი მცხოვრებლებისთვის. ზამთარში ხშირათ მშიერები იყვენ და ახლა ის ფიქრი, რომ გაძღებოდენ და კიდეე რამდენიმე დღე ეყოფოდათ ნანადირევი ხორცი, უფრო ახარებდა და ამხიარულებდა მათ. რამდენიმე კაცი დაყენენ მცველათ, რომ სხვა ნადირებს მამონტის ლეშში არ გაეფუჭებინა და ყველა სახლში დაბრუნდა, რომ ცოლ-შვილით ამ ნადიმზე მონაწილეობა მიეღოთ. დარჩენილმა მონადირეება ამოჭრეს თავ.ისთვის საყოფი ხორცი, დაანთეს დიდი ცეცხლი, შეწვეს, დაძღენ და დასაძინებლ:ათ დალაგდენ იმ იმედით, რომ ცეცხლი ნადირს ახლოს არ მიუშვებსო.

მეორე დღეს ქალი და კაცი მხიარულათ მიეჩქარებოდენ იმ ადგილას. მალე რამოდენიმე ადგილას ცეცხლი დაინთო, ყველგან შემწვარი ხორცის სუნი და მხიარული სიცილი მოისმოდა. ნადიმმა დიდხანს გასტანა, ცეცხლის ბოლი კიდეე დიდხანს მიდიოდა ზეცას. შუადღის შემდეგ, როდესაც ყველანი კარგათ გაძღენ, რამდენიმე ჯგუფებათ გაიღყვენ, მოხუცებულები თავიანთ ჯგუფში წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სული ნადირობის ამბებს იგონებდენ; ყმაწვილები-კი მხიარულათ ლაყბობდენ და ბაასობდენ. აქ ბევრი ქალებიც იყო; ისინი მოურიდებლათ უცნობებს ებაასებოდენ. ამ ყმაწვილებში ედოც და მუხაც იყვენ. ისინი ამ ნადირობაში ცხარე მონაწილეობას იღებდენ და ახლა დაქანცულები და მამონტის ხორცით გამაძღარნი ისხდენ და ყმაწვილებისა და ქალების ბაასს ყურს უგდებდენ.

უცბათ ედოს ყურადღება მიიპყრო ორმა ყმაწვილმა ქალმა, რომელნიც ცეცხლთან ახლოს იდგენ. ერთი იყო მომცრო ტანისა, ჩასუქებული; ეტყობოდა, ღონიერი უნდა ყოფილიყო; გრძელი და სქელი ბალნით იყო შემოსილი; მეორე-კი მაღალი და კარგი მოყვანილი იყო: დიდრონი, ლამაზი კეთილი თვალები ჰქონდა და მხიარულათ იღიმებოდა; ყველას ის ამაყი ეჩვენებოდა, რადგან იმის მიხერა-მოხერაში რაღაც მედიდურობა გამოიხატებოდა. ედო დაკვირდა ამ ქალს; ქალი იმისკენ მობრუნდა, მათი თვალები შეერთდენ და ორივემ უნებურათ მორცხვათ თავი ჩაღუნეს ედომ თავის თავს ძალა დატანა და ქალს გაუმვირა ერთი ნაჭერი ხორცი, რომელიც მან მაშინვე გამოართვა; ეს იმათი გაცნობის ნიშანი იყო. ედო ისეთი მოკრძალებული იყო, რომ დალაპარაკება ვერ გაუბედა, და გადასწყვიტა, კ-დევ მალე შეხვედროდა მას. როდესაც ნადირის გაყოფის შემდეგ ყველანი თავთავიანთ სახლში წავიდენ, ედომ მაშინ შეიტყო, რომ ეს ქალი იმ მოხუცი მონადირის ქალი ყოფილიყო, რომელიც მაღლა გორაზე იდგა და სახელათ ფეხმარჯვე ერქვა, რადგან ყველაზე ჩქარა და მარჯვედ დარბოდა.

ეგ. მ—სი.

(დასასრული იქმნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

აკროსტიხი.

(წარმოდგენილი დ. თომაშვილისგან).

ჯანი და ღონე ეძლევა,
ემატების ერთი ორათა,
ჯერის გაყოფა ბავშვისთვის
იცის მან თანასწორათა;
ლექსები ბევრი მოგვიძღვნა,—
იზარდოს ქვეყნის სწორათა!..

ანდაზები.

(წარმოდგენილი კ. სესნიაშვილისგან).

მახე მაშინ დასხლტებაო,
კუდი რომ კალხზე დადგებაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბუზი რომ თავზე დაგბზეის,
კოღოც მაშინ დაკბენსაო.

—

ლაფში მწოლსა მცოხნაე კამეჩს
გული ერჩის—კლდეს შეანგრევს.

ჩქარა გამოსა ქმელი.

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილისაგან).

ბატონის ყრმის, ყმის ყრმის ყმობით ყოლა უძნელდებაო.

—

ნამცხვრეეს მეცხვარე სამ ცხვრით ვერ იმცხვრებს.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი კ. სეფერელიძისაგან).

ჭრელი არის ეეფხვეითა,
ხმა მიუგაეს კაკაბსაო;
თქვენ ამას ვერ გამოიცნობთ,
ნუ დამიწყებთ ყაყანსაო.

—

ჩვენსა ბერები მოვიდენ,
ცოტათი შეღვინიანდენ,
იქიდან ნავით მოვიდენ,
აქედან ეეღარ წავიდენ.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი რამე სულიერი
თავს ადგება წყნარიითა;
დიდი არის უსაზომოთ,
ფრთხალი არის ქალიითა;
მე მინახავს, თავადები,
რომ დასდევდენ ყმანიითა.

ზ ე ა.

(მისგანვე წარმოდგენილი).

საბა ნიკოლოზ წყალობდეს,
ერეკლე, შენს მეფობასა.
დაბალი შინაყმები მყავს,
არ მიპირობენ ყმობასა.
ახალი ჩალა მიგია,
მაზე სწუხს გვერდი წოლასა;
ეს ყმაწვილები ხუობენ
ჩემსა ამგვარსა ყოფასა.

მათემატიკური გამოცანა.

(წარმოდგენილი კონ. თედოშვილისგან).

ერთ სასტუმროში დიდ სამ-კუთხიან მაგიდას შემოუსხდენ 36 კაცი, თითო კუთხეზე თორმეტ-თორმეტი, როგორც ქვემოთ არის ნაჩვენები. დაიწყეს ქეიფი და, როდესაც შეატყეს, რომ ხარჯს მათი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიბის ფული ვერ გაისტუმრებდა, ყველანი ძალიან დაღონდენ გარდა ერთისა, რომელიც მეტათ ხუმარა იყო. ამ ხუმარამ უთხრა ამ-ხანაგებს: თქვენ ჯაერი ნუ გაქვთ, მე გაუსწორდებიო, და მოითხოვა კიდევ რამდენიმე ბოლი ზამპანიური, თან სასტუმროს პატ-რონიც მოიწვია და მაგიდის პირველ და მეორე კუთხეების თავში და-ბძანა. რამდენიმე ხნის შემდეგ წამოდგა ხუმარა და უთხრა ამხანა-გებს: რადგან ჩვენი ნახარჯის თანასწორათ დაყოფა ძალიან საძნე-



ლოა, ამიტომ ერთმა ჩვენთაგანმა გადაიხადოს ამნაირათ: საიდანმე დავიწყებ თვლას და ყოველ მეშვიდეს გაეთაევისუფლებ გადასახადისაგან და უკანასკნელმა მეშვიდემ, რომელიც სუფრას შერჩება, გადაიხადოს ყველას მაგიერო. ყველანი დათანხმდენ. დაიწყო ხუმარამ თვლა და ყოველი მეშვიდე გაათავისუფლა, ასე რომ ბოლოს შერჩა მაგიდას მარტო მოტყუებული სასტუმროს პატრონი. გამოიცანით: 1) სად იჯდა ხუმარა; 2) საიდან დაიწყო თვლა და რომელი კუთხიდან რომელ კუთხისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არითმეტიკული ამოცანა.

(წარმოდგენილი კ. სესნიაშვილისგან).

ორ კალათში მიწყვია უთანასწორო რიცხვით 20 ვაშლი. თუ პირველი კალათიდან ამოვიღებ ორ ვაშლს და მეორეში ჩავაწყობ, მაშინ მეორე კალათში გამიხდება იმდენი, რაც იყო პირველში. მეორე კალათიდან კიდე თუ სამჯერ მეტი ამოვიღე, რაც პირველიდან და პირველში ჩავაწყე, მაშინ იმაში გამიხდება სამჯერ მეტი, რაც მეორეში დარჩება.

გამიგე რამდენ-რამდენი ვაშლი მქონია თითო კალათაში.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი კოტე სესნიაშვილისგან).

ძველთაგან ძველი ის ქალაქია,
ძველთა მეფეთგან ნაშენებია;
ჩვენს მამა-პაპას სწორეთ ამ ადგილ
ხორცი სულისთვის უწამებია.
იმათ ამ ადგილს თვის სამშობლოსთვის
ბევრი იბრძოლეს და სისხლი ღვარეს,
რომ თვის მოშურნე მტერს შეუპოვარს
არ ეპარპაშნა მათს მდელო არეს,
და არ მოეფხვრა მათ მტკიცე ‘ჯული
და სიყვარული ქრისტეს რწმენისა,
და მის მაგივრათ სხვა ხალხთა ხმასა
არ აღედგინა ხმა ცრუ-რწმენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებუსი

(წარმოდგენილი ი. ბედიაშვილისაგან).

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ IX გამოცანებისა.

ზმა: ილიკო, ელიკო, ნიკო.

გამოცანები: 1) საათი, 2) ზღვა.

უჯრების ამოცანა:

		პ		
	ნ	ო	ე	
პ	ო	ვ	ნ	ა
	ე	ნ	ა	
		ა		

ანაგრამა: ჰიგო, გოჭი.

სიტყვების ამოცანა: აკაკი წერეთელი.

შარადა: სიცილი.

ანაგრამა, უჯრების სიტყვების ამოცანა ახსნა ახალციხის სამოქალაქო სასწავლებლის II კლასის მოსწავლემ გაბრიელ დადიმშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

„ჯეჯილი“

წელიწადი მეთორმეტე

გამოდის 1901 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავად.

ჟურნალი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს **4** მან. თფილისს გარეშე გაგზავნით **5** მან. ცალკე ნომერი **50** კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **თფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*